# სახალხო გაზეთი

№ 207 პარასკევი, 14 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 207

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მაღათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



პაპიროსები

გალეა № 1 25 ც. 38 კაპ. | აიდა 25 ც. 25 კ. და 10 ც. 10 კ. | იდეალი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.

არისტოკრატული 25 ც. 30 კ. | ვენერა 25 ც. 15 კ. და 10 კ. 6 კ. | გალოეა 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.

ხან-კეფი 25 ც. 30 კაპ. | სამაგალითო 25 ც. 25 კ. და 10 ც. 10 კ. | ფურორი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.

თამბაქოს ფაბრიკა — ФАБР МАРКА 1910 T-BA „KOMETA" ТИФЛИСЪ — ამხ. „კომეტა" ქარხანა გირ ჩევთ (0—304—8)

რენომე 10 ც. 5 კაპ. | შირაქი 10 ც. 3 კაპ. | ზეფონ 20 ც. 5 კაპ.

აფიცერთა 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ. | როსკოში 25 ც. 10 კ., 15 ც. 6 კ. და 10 ც. 4 კ. | ეხო 20 ც. 5 კაპ.

მინიონი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ. | ბორბა 20 ცალი 5 კ. | სვეც 20 ც. 6 კაპ.

თამბაქო 1 მან. 36 კაპ. 10 მან. გირვანქა.


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე **სახალხო გაზეთი** წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети".

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის" დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის" წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანათისა.


კნ. ეკატერინე გიგოს ასული მიქელაძისა, თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე შვილებითურთ, თავ. ვლადიმერ (ბონდო) მიხეილის ძე მიქელაძე, კნ. დაგარი აჯაბელისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველი—დაუვიწყარ შვილისა, მეორე და მესამენი—მეუღლისა და დედისა, მეოთხე—დისა და მეხუთე ძმისწულისა

ალექსანდრა (მატუა) მიხეილ მიქელაძის ასულის კნ. ჩხეიძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე; მიცვალებულის გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ბალახვანის ქუჩა, 14 იანვარს დილის 9 ნახ. ს. მთავარ ანგ. ეკლ. დაკრძალვა—წირვის შემდეგ, საფიჩხიის ეკლესიაზე (2—40—2)


## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხობთლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—370)


◀ საბენეფისო წარმოდგენა ▶

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 44 (4)

კვირას, 16 იანვარს, 1911 წ. ვალ. გუნიას საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტ. დრამა 5 მოქმ. ვასილ ყიფიანისა.

დარეჯანის როლს შეასრულებს ბარბარე როინელი. ახალი ტანისამოსები და დეკორაციები, ახალი mis en scene.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ვიქტორელი, ლეჟავა, ლოლუა, როინელი, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: არადელი, ალექსიძე, გუნია, გვარამძე, ყიფიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მაკარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები საბენეფისოა.

რეჟისორი ვლ. გუნია. ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

შემდეგი წარმოდგენა ნ. დავითაშვილის საბენეფისოდ „შიშველი".

## დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

ზაქ. პ. ფალიაშვილის:

№ 1. „მრავალ-ჟამიერ"; მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

№ 2. ორი ქართული რომანსი: ა) „ნანა შვილო" ფასი 40 კ. და ბ) „ახალ ალნაგო სულო" ფასი 40 კაპ.

№ 3. „ქართული საეკკლესიო საგალობლები" (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მან. 25 კაპ.

№ 4. რვა ქართული სახალხო სიმღერა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.

№ 5. ქართული სახალხო სიმღერების კრებული (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь"-ში (გოლოვინ. პროსპ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. მთავარი საწყობი ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა N 18). (10—315—8)

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქუჩა, ჟღენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასი, სიმღერისა (solo), თეორიისა და ნოტების კითხვის (solfegio) და ხოროს კლას. დაიწყება 2 იანვ. ყოველ დღე (კვირა-უქმ. გარდა) მთელ სამოსწავლო წლის განმავლობაში, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე, და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანტორაში. ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად კიდევ: ფორტეპიანის კლას. ტფილ. საიმპერ. სამუსიკო სასწავლებელ დამთავრებული თამ. ს. შაზურთვისა და სკრიპკის კლას. გამოჩენილ სკრიპკის დამკვრელ. სოლისტ ფრანც ონდრჟიჩეკთან (ვენაში) კურსდამთავრებული ვ. ქ. რომაშოვსკაია. სწავლის ფასი: ფორტეპ., სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75 მ., თეორია, და ნოტების კითხვა 15 მან. წელიწადში, სწავლის ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლისა წინ და წინ.

სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან. (8—332—5)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის

## საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას. პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთი"-ს გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემის თაობაზე მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ს. რცხილაძეს (იზმაილოვის ქუჩა, № 2). (10—2)


## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—583)

მოითხოვეთ გუნებრივი

## კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—30)

რადგანაც გვსურს ხელ-მოკლე ხალხს შედარებით იაფ ფასად მივაწოდოთ

## პაპიროსები,

რომელიც ყველა თუთუნის მწეველის დააკმაყოფილებს

## ა. ენფიანჯიანცის

ქარხანამ გამოსცა პაპიროსები

„ლ ე ვ", 20 ცალი 5 კაპ.

პაპიროსები „ლ ე ვ ი" ისეთი მშვენიერია ყოველმხრივ, რომ ერთხელ თუ დაიგემოვნეთ, მხოლოდ მისი წევას დაიწყებთ,

რადგანაც ამ ფასად არსებულ ყველა პაპიროსებზე უკეთესია. (10—317—8)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლონდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

სარაპ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 12—1 ს.

წამლობა „606"-ით.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—42)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩაკოვის ქ., № 9. (ჟ)

დაიბეჭდა და იყიდება სილ. ხუნდაძის მიერ შედგენილი ქართული გრამატიკა (გამოცემა მესამე)

ფასი უდით 60 კაპ.

საწყობი იმყოფება ქუთაისში თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისში წ. კ. საზოგად. წიგნის მაღაზიაში. (7—16—1)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ჟ)

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ვირალოვის სახლი, (50—15—5

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—26)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—17

ავჭალის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 15 იანვარს,

სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

# ქ ა ლ ა ქ შ ი

დრამა 4 მოქ. იუშკევიჩისა, თარგ. ლ. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ბ, რომანიშვილი, ქ. რომანიშვილი, ქ. ჯაბაურისა, ქ. ქართველი, გ. ანაშვილი, გ. ჯაბაური, ა. ნაჟი, მ. ინაშვილი, ქ. რომანიშვილი, ქ. ქართველიშვილი.

ბილეთების ფასი 20—5 კ. ბილეთები იყიდება კასაში ყოველ დღე საღ. 5 ს.-დან. დასაწყისი საღამოს 8 ს.

მორიგი წევრნი ივ. დურგლიშვილი, ვ. რაკვიაშვილი.

ადმინისტრატორი თ. დოლიძე. რეჟისორი გ. ვ. გედევანოვი.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—72

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—56

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. ბ—306


# ტფილისი, 14 იანვარი

**იუსტიციის მინისტრის განკარგულება.** სასამართლოს დაწესებულებათა რევიზიის შემდეგ სენატორმა რეინკემ, როგორც ამ რამდენისამე ხნის წინადაც გვქონდა მოხსენებული, დიდი ყურადღება მიაქცია. თარჯიმანთა ინსტიტუტს და იმ უწესოებას, რომელსაც ეს ინსტიტუტი იწვევს. რუსეთის გაზეთების ცნობით, რეინკეს წარუდგენია იუსტიციის მინისტრისთვის პროექტი, რომლის ძალითაც სასამართლოს მოხელეებად კავკასიაში მცხოვრებ ერთი ენის მცოდნე პირნი უნდა დაინიშნონ. ამ'მინვე რუსეთის გაზეთები იუწყებოდნენ, იუსტიციის მინისტრი სიამოვნებით მიეგება ამ პროექტს და სათანადო განკარგულებაც მოახდინაო. როგორც გუშინდელ ცნობიდანაცა სჩანს, იუსტიციის მინისტრს მართლა მოუხდენია ასეთი განკარგულება და დაუგზავნია სასამართლოებში ცირკულიარი.

თუ მინისტრის განზრახვა განზრახვად არ დარჩა და სასამართლოში მოხელეებად ისეთს პირებს მიიღებენ, რომელთაც ადგილობრივი ენები იციან, თარჯიმანთა ინსტიტუტი, ცხადია, თავის თავად გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. მინისტრის განზრახვაც ფრიად სიმპატიურს განზრახვად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ, ჩვენის აზრით, იგი პრაქტიკულად განხორციელებულია. თარჯიმანთა ინსტიტუტით გამოწვეული არევ დარევა არ მოისპობა, თუ საქმეს იმ მხრით მიუდგით, საიდანაც იუსტიციის მინისტრით. ძნელი წარმოსადგენია, რომ არა ადგილობრივ მკვიდრმა ისე შეისწავლოს ადგილობრივი ენა, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ამ რეფორმას რომ თავისი მნიშვნელობა არ დაეკარგოს, საჭიროა სასამართლოს მოხელეებად ისევ ადგილობრივი მკვიდრნი დაინიშნონ ხოლმე, რადგანაც ადგილობრივი ენა მათი ბუნებრივი ენაა.

ამიტომ მარტო ცირკულიარების გზავნა არა კმარა. საჭიროა საქმე ისე მიეწყოს, რომ ადგილობრივ მკვიდრთ ფართოდა ჰქონდეთ გაღებული კარები. თუ მინისტრი ადგილობრივ ენათა მცოდნეს მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა გარეშე დაიწყებს ძებნას, მაშინ, ცხადია, რეფორმა ცარიელ სიტყვად დარჩება და თარჯიმანთა ინსტიტუტის არსებობით გამოწვეული ნაკლიც გაუსწორებელი დარჩება.

**ეროვნული მოძრაობა არაბეთში..** მომავალი ოსმალეთის პოლიტიკურს ცხოვრებას დიდს განსაცდელს უმზადებს. სახელმწიფოში მშვიდობიანობის დასამყარებლად მარტო მართვა-გამგეობის ფორმების შეცვლა არა კმარა. ოსმალეთში აბდულ-ჰამიდის დესპოტიზმი კონსტიტუციონურ რეჟიმით შეიცვალა, მაგრამ ეს კიდევ სრულ მშვიდობიანობის დამყარების გარანტიას არ იძლევა. ოსმალეთი მრავალ პროვინციებისაგან შესდგება. ჩუმი, ყრუ უკმაყოფილება ამ პროვინციებში ყოველთვის არსებობდა; სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონსტიტუციის დამყარების შემდეგ ეს უკმაყოფილება უფრო გაიზდება და შეგნებულ ხასიათს მიიღებს. რაც დრო გავა, მოქალაქობრივი ცხოვრებაც უფრო განვითარდება. განვითარებული მოქალაქობრივი ცხოვრება კი წარმოშობს ოსმალეთის პატარა ერთა ახალს მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება დღეს თუ არა, ხვალ მაინც ოსმალეთის მიერ აუცილებელ საჭიროებად გადაიქცევა.

გაზეთების ცნობით, არაბეთში ეროვნული მოძრაობა ძლიერდება. ოსმალეთის მთავრობაც ძალიან შეფიქრიანებულია და სურს მოძრაობა ძალით ჩააქროს. აძლიერებს ჯარს, მიმართავს რეპრესიულ ზომებს. ოსმალეთის მთავრობა დღითი-დღე რწმუნდება, რომ მცირე-რიცხოვან ჯარით მათ ვერ შეუძლიანთ მოძრაობის ჩაქრობა. ადვილად შესაძლებელია ოსმალეთმა რეპრესიებით დროებით მიანელოს არაბეთის ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ეს დროებითი მინელება არ შეიძლება სრულ მშვიდობიანობის გარანტიად ჩაითვალოს. ეროვნული პრობლემა მეტად რთული პრობლემაა ოსმალეთისთვის და მისი რეპრესიებით გადაწყვეტა შეუძლებელია.

არაბეთი ერთი უდიდესი ნაწილია ოსმალეთისა. ამასთანავე მას აქვს საკუთარი მდიდარი კულტურული წარსული; დროთა მსვლელობით არაბეთის კულტურა წინ წაიწევს. როდესაც ეროვნული შეგნება არაბეთისა უმაღლეს წერტილს მიაღწევს, ოსმალეთისთვისაც შეუძლებელი გახდება რეპრესიებზე დამყარება. ეროვნებათა პრობლემა ურთიერთობისა ოსმალეთში სულ სხვანაირს გადაწყვეტას მოითხოვს; ოსმალეთიც იძულებული გახდება სინამდვილეს ანგარიში გაუწიოს და თავისი შინაური ცხოვრება ისე მოაწყოს, რომ ეროვნებათა უკმაყოფილებას საბუთი აღარა ჰქონდეს. ეს კი მხოლოდ ავტონომიურს უფლებების მინიჭებით შეიძლება. ოსმალეთს დიდი განსაცდელი მოელის და ამ განსაცდელის თავიდან აცილება უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადასწყვეტავს ფრიად გართულებულ ეროვნულ პრობლემას.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პეტერბურგის იძულებითი გაჯანსაღების საკითხი მორიგი საკითხია. ეპიდემიებმა ამ ბოლო დროს პეტერბურგში ისეთი საშიში სახე მიიღო, რომ ენერგიულ ზომების მიღება აუცილებელი გახდა. ეპიდემიების მოსასპობად უპირველეს ყოვლისა საჭიროა ქალაქის სანიტარული გაუმჯობესება. მთავრობამ ხელზე დაიხვია ეს გარემოება და შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც პეტერბურგის გაჯან-საღების საქმე ქალაქის თვით-მმართველობას ხელიდან ეცლება. ეს თვით-მმართველობის კომპეტენციის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რაც საზოგადოების პროგრესიულ ნაწილის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. 17 იანვარს სახელმწიფო სათათბირო მთავრობის კანონპროექტის განხილვას შეუდგება. ქალაქის მოურავის თანაშემწეს დ. დემკინს ქალაქის თვით-მმართველობაში ვრცელი მოხსენება წარუდგენია. გაზეთი „რეჩი“ ამნაირად გადმოგვცემს ამ მოხსენების შინაარს:

„სამინისტრო ტყუილად უსაყვედურებს ქალაქის თვითმართველობას, ვითომ მას არცა სურდეს და არც შეეძლოს კანალიზაციის მოწყობა. დღევანდელს პირობებში ქალაქს ვერ შეეძლო ეს საქმე შეესრულა. მთავრობას დიდი ხანია შეეძლო ისეთი უფლებები მიეცა ქალაქისთვის, რომელნიც სჭირია კანალიზაციის მოსაწყობად; მაგალითად, შეეძლო მიეცა უფლება საკანალიზაციო გადასახადის დადებისა, კანალიზაციისთვის საჭირო ქონებათა იძულებითი ჩამორთმევისა და სხვ. საკითხის მრავალ მხრივ განხილვას იმ დასკვნამდე მიუყვანია დემკინი, რომ მთავრობას ბევრის მოსაზრებით თავიდან არა სურდა კანალიზაციის მოწყობა.

დასასრულ დემკინი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ სამინისტრომ მხოლოდ ერთის მოსაზრებით შეთხზა კანონპროექტი: ქალაქის თვით-მმართველობას ფრთები შეაკვეცოს და გააძლიეროს თავისი აპეკა ქალაქებზე. მომხსენებელი ღრმათაა დარწმუნებული, რომ პეტერბურგის თვით-მმართველობა თვითონაც კარგად გაუძღვება საქმეს, თუ, რა თქმა უნდა, სამინისტრომ ხელი არ შეუშალა.

# სახელმწიფო საბჭო.

თავმჯდომარეობს აკიმოვი. საფინანსო კომისიის მოხსენება მოისმინეს, რომ ფული მიეცეს სამთა-მადნო დეპარტამენტს სტამბებისა და გაზეთების განცხადებების დაბეჭდვის ვალის გასასტუმრებლად და შესყიდულ გემების ფასი „დობროვოლნი“ ფლოტის საზოგადოებისა. სათათბიროს ეს ორივე კანონ-პროექტი საბჭომ შესცვალა და შემთანხმებელ კომისიას გადასცა. პირველ პროექტიდან ის ადგილი ამოშალეს, რომელიც თხოულობდა სამთო-მადნო დეპარტამენტის მოთხოვნა წინასწარ კომისიის მიერ ყოფილიყო შემოწმებული. მეორედან კი—საზღვაო უწყებისათვის ოთხი ორთქლ-მავლის გადაცემა. კანონ-პროექტი აშენების უფლებაზე წინასწარ განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას გადაეცა, რომელიც 15 წევრისაგან შესდგება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

13 იანვარი.

**ურმია.** ოსმალოებს სულდიზიდან ყიზდირ დარასის ხეობაში ასი ასკერის გაგზავნა გადაუწყვეტიათ. ეს ხეობა ძლიერი სტრატეგიული პუნქტია სულდიზისა და ურმიის შუა.

**პარიზი.** ფინანსთა მინისტრის თანაშემწის, ლეფევრის საქმე, რომელსაც გაზეთებში ცილის-წამებას აბრალებენ, 22 იანვარს გაირჩევა. ლეფევრი საქმის გარჩევამდი სამსახურს თავს ანებებს, რომ სამჯავრომ მიუდგომლად გაასამართლოს.

**ხონკონგ.** სიწყნარეა. ჩინეთის მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა არეულობა დააცხრო.

**ჰააგა.** როგორც ნიდერლანდიის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება ყალბია ის ზომები, ვითომც საფრანგეთის უცხო სახელმწიფოთა წინაშე წარმომადგენლებს დაევალად ფლისსინგენის გამაგრების თაობაზე საკითხი წამოაყენონო. ამავე სააგენტოს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, არც ჰააგაში საფრანგეთის ელჩს და არც სხვა სახელმწიფოებში მყოფ საფრანგეთის ელჩებს ამგვარი რამ დავალება პიშონიდან არ მიუღიათ, პირიქით თვით პიშონს ნიდერლანდიის მეტად მეგობრულად უქძერისო.

**სერაევო.** სეიმი. როდესაც ფოსტის სალაროს დაცვის საკითხს იხილავდენ, დიდი აუზ-ზაური ასტყდა სერბთა, ხორვატთა და მუსულმანთა შორის. მომხსენებელმა სერბსკიმ აღნიშნა, ეს იმპერატორის ბრძანება კონსტიტუციის შებღალვაო, რადგანაც აღმასრულებელი საკანონმდებლო დაწესებულებათა კომპეტენციის უფლებაში ერევაო.

**ზაგრები.** სეიმი. ოპოზაციის შეკავშირების მიუხედავად, ბუდაპეშტის პარლამენტის რწმუნებულთა არჩევნები მაინც მოჰხდა. არჩევნებში 17 მთავრობის მომხრე, 20 ვირილისტი იღებდა მონაწილეობას. პალატის სამი წევრი მაგნატი და 24 დეპუტატი, მათ შორის 15 კოალიციის ზომიერი წევრი აირჩიეს.

**ბუქარესტი.** მთავრობა არჩევნების გამო, ამომრჩევლებს მოწოდებით მიჰმართა, სადაც სამოქმედო გეგმას განმარტავს. განზრახულია ურთ-ერთი დაზღვევა მუშებისა, მიწის მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესობა, უპატრონო მიწების გლეხებზე გაყიდვა, ადმინისტრაციის და გზების გაუმჯობესობა, ეკონომიური პირობების განვითარება და ჯარში ახალ ცვლილებათა მოხდენა.

**ხარბინი.** რკინის გზის მმართველობამ 11 ვაგონი და ორი „ბარაკი“, სულ 4500 კაცისათვის საკმარისი, შავი-ჭირის მებრძოლ რაზმის განკარგულებაში გადასცა. ფუნძიონის მხრივ შავი-ჭირის შემოტანის ასაცილებლად ხარბინის ქალაქის გარშემო 15 ვერსის მანძილზე საკარონტინო ალყაა შემორტყმული.

**ლვოვი.** რუს დავიდიაკის შეურაცყოფისათვის, სასამართლოს დეპუტატ დუდიკევიჩის მომხრენი გაამტყუნა. დუდიკევიჩის მომხრე, რუსის სტუდენტებმა, სასამართლოსა და „ნამესტნიკის“ სასახლეს წინ დემონსტრაცია მოახდინეს. პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა.

**რ უ ს ე თ ი**

**ვლადივასტოკი.** მებადურეთა თათბირმა საჭიროდ სცნო, საბადურო გემების გასაუმჯობესებლად გემთა საამშენებლო ქარხნებს ჯილდო დაუნიშნონ და აკრძალონ სუეცის სრუტეზე ღალის აღება იმ გემთათვის, რომელიც ევროპიდან მოდის. სასურველიდ სცნეს მოძრავ ბიოლოგიურ სადგურის და მუდმივ ბიუროს დაარსება.

**ვლადივასტოკი.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ, ნავთსადგურთა წარმომადგენლებისაგან, ვაჭრებისაგან, გემთა პატრონთაგან და საქონლის გამზიდველთაგან მოწვეულმა კრებამ დაადგინა, რომ 24 წლიური მიმოსვლა მოეწყოს შავ და ბალტიის ზღვიდან შორეულ აღმოსავლეთის წყლებისაკენ. ევროპაში გადასაზიდი საქონელი 20 მილიონისა იქნება.

**სიმფეროპოლი.** გუბერნიის საერობო კრებამ უშკოვის გზის გეგმა, სევასტოპოლ იალტა, მოიწონა.

**დრისსა.** სამ მძარცველის შეპყრობის დროს, ურიადნიკი დასჭრეს. მძარცველები მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** კავკასიის მთავარ სარდლის განკარგულებაში მყოფს მიშჩენკოს არტილერიის გენერლობა ებოძა.

**ოდესსა,** ოსმალეთის მთავრობამ ხელშეკრულობა დასდო შემდეგ გემებთან: „ხერსონ“, „პეტერბურგ“ და „სარატოვ“-თან, რომ ჯარის კაცები იემენში გადაიყვანოს.

**ლოძი.** მილიონის ქუჩაზე, როდესაც მუშები ვულჰფსონის ქარხნიდან გამოდიოდნენ, ბოროტ-განზრახველებმა მიზანში ამოიღეს ორი ქარგალი, ერთი მოჰკლეს, მეორემ გაქცევა მოასწრო. თავ-დამსხმელნი მიიმალენ.

**პეტერბურგი.** სწავლა-განათლების სამინისტრომ სამოსწავლო ოლქების ცვლილების მოხდენის პროექტის შედგენა დაამთავრა.

**პეტერბურგი.** ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი სამართველო აცხადებს, რომ კავკასიაში ტელეგრაფის წეს-რიგი აღდგენილიაო.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტის დაარსებისა 156 წლის თავის გამო უნივერსიტეტის ეკლესიაში წირვა გადაიხადეს. წლიური აქტი არ გაუმართავთ.

**პეტერბურგი.** 12 იანვარს, გარეშე საქმეთა სამინისტროში რატიფიკაციის საბუთის გაცვლა მოჰხდა. რატიფიკაცია კონვენციისა შეეხება იმ სავალდებულო სამედიატორო სასამართლოს, რომელიც რუსეთის და იტალიის შორის იქნა დადებული 14 ოკტომბერს 1910 წელს. მე 8 მუხლის გამო ეს კონვენცია 12 თებერვალს 1911 წ. ძალაში შევა.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **მილიონ-ნახევარ მანეთის ანდერძით დატოვება.** ამას წინად ტფილისში გარდაიცვალა ტფილისელი ვაჭარი აჰ. ღუკასოვი, რომელმაც თავისი საცხოვრებელი $1^1/_2$ მილიონი მანეთი თავის ქალიშვილს დაუტოვა. ეს ქალიშვილი, როგორც ტფილისში ცნობა მოვიდა, ამ დღეებში მოსკოვში გარდაცვლილა და მთელი საცხოვრებელი ანდერძით დაუტოვებია ოსმალეთის სომხეთში უმაღლეს სასწავლებლის დასაარსებლად.

✦ **პოეტ-ქალის ნინო ორბელიანის ავადმყოფობა..** ჩვენი პოეტი-ქალი ნინო ორბელიანი ამ ჟამად ავად არის. ავადმყოფი დიდს გაჭირვებას განიცდის ნივთიერ ხელმოკლეობის გამო.

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** ამ საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება, რომელიც 12 იანვრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა და გადაიდო დღეისთვის. საზოგადოების წევრთა საერთო კრება 19 იანვარს მოჰხდება. კრება, სხვათა შორის, საზოგადოების მდივანს აირჩევს.

✦ **წვრილი კრედიტის ბანკი სოფლად.** ამას წინად გორის მცხოვრებლებმა რამდენიმე შეგნებულ კაცის თაოსნობით უმაღლეს მთავრობას ნებართვა სთხოვეს ამ სოფელში წვრილი კრედიტის ბანკის დაარსებისა. მთავრობამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ბანკი მოქმედებას დაიწყებს ორშაბათს, 17 იანვრიდან.

✦ **საფილოქსერო კომიტეტში.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს განზრახვა აქვს წელს მხნედ იმუშაოს კახეთში და იქაური ვაზები გადაარჩინოს ფილოქსერით დაავადებას.. იმის გარდა, რომ გამოკვლეულ იქმნება ვაზები, დაიბეჭდება ადგილობრივ ენებზე წიგნაკებიც, რომელშიაც ჩამოთვლილი იქმნება ზომები ფილოქსერის წინაამდეგ ბრძოლისა. წიგნაკებს ხალხში უფასოდ დაარიგებენ. წინასწარ გამოანგარიშებით, წელს კახეთში ფილოქსეროსთან საბრძოლველად 15 ათასი მან. დაიხარჯება.

✦ **სტუდენტის დაპატიმრება.** როგორც გვატყობინებენ, ხარკოვში დაუპატიმრებიათ იქარ უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ლ. ლომთათიძე. დაპატიმრების მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **სცენის მოყვარულთა ჯგუფი.** ტფილისში შესდგა სცენის მოყვარულთა ჯგუფი, რომელმაც გადასწყვიტა, ქართული სახალხო წარმოდგენები ჰმართოს ავჭალის ქუჩის აუდიტორიაში. ჯგუფმა თავის რეჟისორად მიიწვია ქართულ დრამატიულ დასის მსახიობი გ. ვ. გედევანიშვილი. პირველ წარმოდგენას ეს ჯგუფი ხვალ, 15 იანვარს გამართავს. წარმოდგენილი იქმნება „ქალაქში“ დრამა 4 მოქმ. იუშკევიჩისა, თარგმანი ლ. ცაგარლისა. ფასები 20-დან 5 კ.-დე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **სანიტარული დათვალიერება.** გუშინ ქალაქის მე-7 და 8 უბნის სანიტარულმა კომისიამ ამ უბნებში დაათვალიერა ფქვილის საწყობები და მის მეპატრონეთ წინადადება მისცა, ერთის თვის განმავლობაში დუღაბის იატაკები გააკეთონ ვირთაგვებისგან თავდასაცავად.

✦ **ტფ. პოლიცმეისტერის განკარგულება.** პოლიცმეისტერმა სასტიკად დაავალა უბნის ბოქაულებს რათა დიდი ყურადღება მიაქციონ ქალაქში სისუფთავის დაცვას და იმ წამსვე სამართალში მისცენ ყველა ის სახლის პატრონები, რომელნიც ოდნავ გადაუხვევენ ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემულ სასანიტარო წესებს. ამასთანავე დაავალა, აიძულონ ის სახლის პატრონნი, რომელთა სახლებს წელიწადში არა ნაკლებ 1.500 მანეთის შემოსავალი აქვთ, რომ მეეზოვე აუცილებლად იყოლიონ.

✦ **ქალაქ გროზნას სესხი.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ქალაქ გროზნას თვითმმართველობას, აიღოს გრძელ ვადიანი სესხი 600,000 მან.

✦ **წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში.** დღეს წირვის შემდეგ ამ სასწავლებელში გაიმართება წლიური აქტი.

✦ **სასამართლო.** 11 იანვარს ტფ. ოლქის სასამართლოს სესია დაბა სურამში გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად. სასამართლო სურამში დარჩება 12-დან 15 იანვრამდე.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა.** როგორც ვწერდით, გუბერნატორმა ტფ. ქალაქის გამგეობის წევრად არ დაამტკიცა ხმოსანი ი. ს. ჯაბადარი. ამიტომ ორშაბათს, 17 იანვარს, ქალაქის საბჭოში განსახილველად შეტანილი იქმნება საკითხი გამგეობის წევრის არჩევის შესახებ.

✦ **ქ-ნ კუმსკოის მოკვლა.** 12 იანვარს დაახლოვებით საღამოს 8 საათზე, ყოფილ პირველ გიმნაზიის ინსპექტორის მეუღლესთან მისულა ბანკის მოხელე გოგნიევი, გამოუხმია გარეთ ქ-ნ კ. და კალმის დანით ყელი გამოუჭრია. მკვლელს გაქცევა დაუპირებია, მაგრამ მეეზოვეს შეუპყრია.

✦ **დილიჟნების გადაბრუნება.** 10 იანვარს, სიღნაღიდამ მომავალი მალაკნის დილიჟანი, გადაბრუნდა ნუკრიანის დაღმართზედ. ბევრნი დაშავდნენ. მიზეზი მეეტლის სიმთვრალე იყო. იმავ დღეს, იმავ მალაკნის მეორე დილიჟანი გადაბრუნდა კაჰრეთს აქედ სწორე გზაზედ, მგზავრები მძიმედ დაშავდნენ. მიზეზი ნაპირა ცხენი იყო, რომელიც რაღაცაზედ შეფრთხა და შიგ არხში გადაიჩეხა დილიჟანი. ამისთანა შემთხვევები ხშირად მოსდის მალაკნის დილიჟნებს, მაგრამ პატრონი და ყურის მგდებელი კი არა ჰყავს. საჭიროა მიექცეს ყურადღება, ვისიც ჯერ არს.

✦ **12 იანვარს მთლიანად ტფილისში შეიპყრეს 12 ქურდი.**

✦ **12 იანვარს, საღამოს 10 საათზე, პოლიციის ქუჩაზე ცეცხლი გაჩნდა დეკანოზის მეუღლის თამარა არტემის ასულ ოგანიანცის სახლს. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი 2.000 მანეთამდეა.**

✦ **12 იანვარს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თავშესაფარში უეცრად გარდაიცვალა შოთის აკოპიანი.**

✦ **12 იანვარს, საღამოს 7 საათზე, არწრუნის ქუჩაზე იპოვეს ახლად დაბადებული ბავშვის გვამი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.**

# ტფილისის მუშათა ცხოვრებიდან

ეს მეოთხე წელიწადია, რაც ტფილისის საქონლის სადგურზე არსებობს „მუშათა არტელი“, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არ მოეწყო ისე, რომ ის სასურველ ნიადაგზე დამყარებულიყო.

თუმცა, გარეგნული შეხედულობით გვგონებათ თუ რაღაც ერთგვარი უპირველესი ალაგი უჭირავს ამ არტელს დღევანდელ მუშათა ცხოვრებაში, მაგრამ რომ დაუახლოვდეთ და გავსინჯოთ სულ წინააღმდეგში დარწმუნდებით.

რაში გამოიხატება ეს წინააღმდეგობა, ამის მიზეზს გავიგებთ ზოგიერთა პირების მოქმედებიდან. მხოლოდ ჯერ კი საჭიროდ, მიმაჩნია, არტელის უკანასკნელ წლების არსებობის შინაარს გავეცნოთ.

ჯერ, 1906 წლის მიწურულში, ეგრედ წოდებული „ვარიაგის“-ს, არტელი მოადგა ტფილისის სადგურს და მის ხელში ჩაგდებას ჰლამობდა. რომლის გამარჯვება თავისთავად ცხადია ადგილობრივ მუშების ქუჩაში დარჩენას მოასწავებდა. ამან მუშები დიდ საგონებელში ჩააგდო და ყოფნა არ ყოფნის საკითხი დაუყენა. საჭირო შეიქნა ისეთი საშუალების გამონახვა რომელიც არტელს ასეთი დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან დაიფარავდა.

ამ მიზნით, იმავე წლის ნოემბერში მოწვეულ იქნა მასსიური კრება, სადაც დაინტერესებულმა პირებმა, კრებას ვრცელი მოხსენება წარუდგინეს, და თავის დასაცავ საშუალების გამოსაძებნად მოუწოდეს. კრებამ მცირე თათბირის შემდეგ რამოდენიმე კაცისგან შემდგარი კომისია აირჩია, რომელთაც დაავალა, ყოველივე საშუალება ეხმარა, თუნდაც ამისათვის საჭირო ყოფილიყო სხვა არტელებთან შეერთება, და შეერთებულის ძალით საქმე გამოეკეთებინა.

დადგა 1910 წელი, და იანვრის დამლევს ადგილობრივი მუშების შიშიც გაჰქრა სადგურის წაოთმევაზე. რადგანაც რკინის გზის სამმართველომ სადგური ისევ ადგილობრივ არტელს ჩააბარა, და „ვარიაგ“-ს არტელი კი ძველ წელთან ერთად ისტორიას ჩაჰბარდა.

ახალ გამგეობის არჩევნების დროც მოეწყოვდა. ამ მიზნით მოწვეულ იქნა მუშების მიერ არჩეული დელეგატთა კრება. ამ კრებას უნდა დაესახელებინა გამგეობის წევრები, გაერკვია სხვა-და-სხვა კითხვები და შემდეგ მასიური კრებისთვის დასამტკიცებლად წარედგინა.

დელეგატთა კრებამ საჭიროთ იცნო შემდეგი ცვლილების მოხდენა: გაუქმებულიყო ძველებური სისტემა, ე. ი. სამი კაცის ნაცვლად, (წინათ გამგეობა შესდგებოდა სამი კაცისაგან) ცხრა კაცი აერჩია, რომელსაც დაევალებოდა ტეხნიკურ კანტორის მოწყობა, (ამდენ ხანს არ იყო), წიგნების ბუხგალტერულ ნიადაგზე წარმოება და ამავე დროს აქედან უნდა შესდგომოდნენ მომავალ წლისთვის სადგურის შესარჩენად ზრუნვას.

ამ მოხსენებით ის გამოვიდა თებერვლის შუა რიცხვებში მასიურ კრებაზე და გააკეთა თავისი მოხსენება.

მაგრამ მას აქ აღმოუჩნდა მოწინააღმდეგე ი. მაგ—რის მეთაურობით, რომელმაც მოინდომა დელეგატთა კრების მიერ წამოყენებული დირექტივების ჩაშლა და ძველ სისტემებში წარმოების დარჩენა.

მე აქ არ გამოუდგები იმის მტკიცებას, თუ რომელი უფრო ჰარაალ პოზიციაზე იდგა—ამას თვით წერილის ბოლო დაგვანახვებს,—მხოლოდ ვიტყვი რომ, თუ ი. მგ—ძე ახალი სისტემის უვარგისობაში დარწმუნებული არ იყო, არ უნდა შეცდილიყო მის ჩაშლას.

ამ წინადადებამ კრებაზე, დიდი ალიაქოთი გამოიწვია, მაგრამ, ცოტა შეხლა-შემოხლის შემდეგ, გამარჯვება ისევ პირველებს დარჩათ. რადგან კრებამ ხმის უმეტესობით დაამტკიცა დელეგატთა კრების მიერ მიღებული სისტემა.

ამ გადაწყვეტილებამ მუშები ცოტა დაამშვიდა, მაგრამ არ დაცხრა ი. მაგ—ძე და მისი მოახრეები. ისინი დღე-დღეზე კრებებს მართავდენ და მუშებში აგიტაციას ეწეოდნენ ახალი გამგეობის წინააღმდეგ. მათმა აგიტაციამ მართლაც ნაყოფი გამოიღო და მუშები აალაპარაკა. აშკარად ეტყობოდა გამგეობის პრესტიჟი ეცემოდა,—რის ნაყოფიც იყო ოც-და-ერთ მოწინავე მუშების მიერ, გაზეთის საშვალებით პროტესტის გამოცხადება ი. მგ—ძეზე!

მაგრამ ი. მგ—ძე არც ამით დაკმაყოფილდა! მუშები თითქოს ორ ბანაკად გაიყო.—ერთის მხრივ გამგეობა და ოც-და-ერთი მოწინავე მუშა, მეორე მხრივ ი. მგ—ძე და მისი მომხრეები.

საქმემ მწვავე ხასიათი მიიღო, რითაც საჭირო შეიქმნა ხელ-ახალ მასიურ კრების მოწვევა. მართლაც პირველი კრების ერთი თვის შემდეგ მოწვეულ იქნა არა ჩვეულებრივი მასიური კრება, სადაც ორივე მოწინააღმდეგენი ვნახეთ, ორთავეს ძლიერი აღელვება ეტყობოდათ და მოუთმენლად ელოდენ კრების გახსნას, იმით დაინტერესებული თუ მუშები საით გადიჭრიან თავიანთ მართლ-მსაჯულების სასწორს.

მუშებიც ჯგუფ-ჯგუფად შეყრილიყვნენ და გაცხარებული მსჯელობდნენ. ეტყობოდათ, თავიანთი გზის ჰაჩვენებლების დაფასებას შესდგომოდნენ. მხოლოდ, თუ შეეკითხებოდით რომელი სჯობია, ვერც ერთი პირდაპირს პასუხს ვერ მოგვებდათ. აშკარად შეამჩნევდით, რომ მათთვის პატარა ლამაზი „რეჩი" საკმაო იყო; რომ თქვენს წინაშე ქედი მოეხარა!

გაიხსნა კრება და ხალხიც დაწყნარდა, აღელვება და ყვირილი ლამაზ სიტყვებით შეიცვალა. მაგრამ, მალე კამათი გამწვავდა და მუშებიც აირივნენ. ი. მგ—ძემ რა კი შეატყო, სასწორი მისი მოწინააღმდეგებისაკენ იხრებოდა, კრება უდიერის სიტყვებით მოიხსენია, რითაც მოსჭრა ის ტოტი, რომელზედაც თითონ იჯდა, სამაგიეროდ, გამგეობამ ისარგებლა და საძირკვლიან დასკვნას შეუდგა, რომ უფრო გაემაგრებიათ თავიანთი პოზიცია. შედეგი ის იყო, რომ კრებამ მკირედის ცვლილებით ძველი გადაწყვეტილება დაადასტურა, ე. ი. გამგეებს ორი კაცი გამოაკლო და შვიდზე დააყენა. სისტემა კი ისევ ისე ხელუხლებლად დასტოვა.

ამ რიგად, გაიმარჯვა გამგეობამ და დამარცხდა ი. მგ—ძის ოპოზიცია.

როგორ შეასრულა გამგეობამ თავიანთი მოვალეობა?—ამაზე შემდეგ.

პაჟო.

## ხმა ტომსკიდან

ციმბირის ქართველთა საზოგადოების დაარსება.—გ. მ. მუხაძის გასტუმრება სამშობლოში.—სამეცნიერო წრე.—ორიოდე სიტყვა ტომ. სტუდენტთა ცხოვრებაზე.

სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ციმბირში ქართველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. შარშან ტომსკის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში აღიძრა საკითხი ციმბირელ ქართველთა შორის ანკეტის მოხდენის თაობაზე. ეს კითხვა მიღებულ იქმნა. გაზაფხულზე ამ საქმის მოთავე ალლომიძე აღმოსავლეთ ციმბირისაკენ გაემგზავრა, რომ გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა, მაგრამ ცხოვრებამ უფრო ფართოდ დააყენა საკითხი და ყველგან, სადაც შესაძლებელი იყო, ჩვენი წევრის თანადაწრებით დაარსდა ქართველთა შორის დამხმარე საზოგადოება. ამ გარემოებას რომ ყურადღება მიაქციოს „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოება"-მ და მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ, სასარგებლო იქნება საქმის ვითარებისათვის.

1910 წ. 10 დეკემბერი ფრიად საგულისხმიერო დღე იყო ჩვენს ცხოვრებაში. ვაცილებდით ჩვენს ერთს საუკეთესო წევრს გრიგოლ მიხეილის ძე მუხაძეს, რომელმაც 1908 წელს დაამთავრა საექიმო ფაკულტეტი და ფაკულტეტმა ქირურგიულ კლინიკაში უფროს ორდინატორად დასტოვა. წელს, როდესაც დაიცალა ქირურგის ადგილი ქიათურის სამრეწველო საავადმყოფოში იგი იქმნა მოწვეული საბჭოსაგან. აქაურმა ქართველმა სტუდენტებმა და კავკასიელთა ერთმა ჯგუფმა ამხანაგური ვახშამი გაუმართა.

ამ დღეებში დაარსდა ქართველთა სამეცნიერო წრე კოოპერაციის შესასწავლად. აქვე შეისწავლება ეკონომიური მხარე ჩვენის ისტორიისა. სჯაბასი და რეფერატები მოწყობილ იქმნა ქართულად; ვუსურვებთ მას დღეგრძელობას და მუშაობას.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამ ბოლოს დროს სტუდენტთა მიძრაობამ აქაც იჩინა თავი. ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში გაფიცვაა და, სტუდენტთა დადგენილებით, დაკეტილია 10 იანვრამდის. დეკემბრის გამოცდები არ მომხდარა. ბრძოლა აკადემიურს ნიადაგზე სწარმოებს. ორმოცამდე სტუდენტი დაატუსაღეს.

ვნახოთ, რითი გათავდება?

ვახო კახელი.

## წვრილი კრედიტი საქართველოში

2

არის ისეთი მომენტები სოციალურ ცხოვრებაში, როცა მოთმინების ფიალა ივსება, მდგომარეობა რთულდება და აუტანელი ყოფა-ცხოვრება მთელ საზოგადოებრივ საქმიანობას და ბრძოლას იწვევს. ასეთი მდგომარეობა განიცადა ჩვენმა ცხოვრებამ მე-80—90 წ.წ., როდესაც კრიზისმა უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. საქართველოს თითქმის ყველა ძალებმა ხმა ამოიღო, თავად-აზნაურობა,—რომელსაც ნახევარ საუკუნის განმავლობაში „მამა-შვილურად" უვლიდა ბიუროკრატიას, — მეურნეობის დაცემით გულცამწვარი იყო, ვინაიდან მიწის რენტა და შემოსავალი კლებულობდა; ამის გამო თავად-აზნაურობა პროტესტანტების მესვეურადაც კი გამოვიდა ამ ხანებში და შემდეგ რუსეთის მთავრობა აიძულეს, ასეთი თუ ისეთი, ყურადღება მიექცია საქართველოს მწარმოებელ ძალთა და კულტურის გაუმჯობესობის საქმისთვის.

ბიუროკრატიული მთავრობა კი იმის ცდაში იყო, რომ მხოლოდ ისეთი ზომები მიეღო, რომელიც დიდ ცვლილებებს არ შეიტანდა არსებულ ძალთა განწყობილებებში. ამისათვის, არსებითი მოთხოვნილებანი მოითხოვდა ბატონ-ყმურ ნაშთების გაუქმებას, დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის მოსპობას, მიწა-წყლის მწარმოებელთა ხელში გადასვლა და სხვა, ბიუროკრატიამ განზე დასტოვა და ცხოვრების წყლულთა მოსამუშებელ ზომებს მიჰმართა. ეს, სხვათა შორის, და უმთავრესად იყო სესხი.

სესხი. გაიძახის თავად-აზნაურობაც, სესხი—იმეორებს გლეხ-კაცობა, სესხი, ყიჟინობს მრეწველნი და მოვაჭრენი. უსესხოდ შეუძლებელია არსება. დაგვეხმარეთ, ხელი გაგვიმართეთ—მათხოვრობს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი და უწარჩინებულესი საზოგადოება.

არსდება სათავად-აზნაურო ბანკები, წმინდა სავაჭრო-საკომერციო დაწესებულებანი, მაგრამ, რადგანაც გლეხ-კაცობა უმთავრეს ფაქტორს შეადგენდა მთელ საქართველოს ცხოვრებაში, ამისათვის მთავრობაც იძულებული იყო გლეხ-კაცობისათვისაც გაეხსნა სესხი. მან დაარსა სასოფლო და საგლეხო დაწესებულებანი, საიდანაც გლეხ-კაცობას მცირე სესხის გატანა შეეძლო. ხოლო რა ნაყოფს გამოიღებდა ეს ხელის გამართვა, ბიუროკრატიამ კარგად იცოდა. ამ მიზანთა ხორც-შემსხმელნი ჩვენში გახლავს სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი და საგლეხო სახელმწიფო ბანკი. პირველი სოფლის შეძლებულ ნაწილის თანხიდანა სდგება, მეორე კი—ხაზინის თანხიდან.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სესხის საქმე ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ გლეხ-კაცობისთვის საზარალო გახდა. გავითვალისწინოთ საგლეხო ბანკის დაარსების ისტორია საქართველოში და დავინახავთ რომ, როგორც ამას აშკარად აღიარებს მთავრობის მოხელე სასნოვსკი: „1890 წ:ის, 16 მარტის,—მოგვითხრობს იგი,—უმაღლეს ბრძანებით ნება-დართულ იქმნა ტფილისში გაეხსნათ სახელმწიფოს სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილება და ამის შემდეგ, 1896 წელში ხელ-ახლა აღძრულ იქმნა საკითხი საგლეხო ბანკის დასაარსებლად, *რომ საგლეხო ბანკი შავი-ზღვის განაპირა ადგილების დასასახლებლად გამოეყენათ, რომ საგლეხო ბანკის თანხის შემწეობით შეძენილ იქმნა ის მიწა-წყალი, რომელიც წინად ხაზინას გაუყიდნიათ*"...

(კურსივი ჩემია, ციტატა იხ. Сосновскій „Матеріалы по вопросу о распространеніи дѣйствій Крестьянскаго Поземельнаго Банка на Закавказскій край", გამოცემა პეტერბურგის 1904 წ. გვ. 4.). ჩვენ ადგილობისა გამო არ მოგვყავს სხვა ციტატები სასნოვსკის საინტერესო ნაწარმოებიდან, კმარა ესეც თუ ჩვენ მას დავაკვირდებით. საქართველოს კულტურისა და გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე აქ კრინტი არაა დაძრული.

საგლეხო ბანკის დაარსების აზრი იმ მე-80—90 წ.წ. განვითარდა, როდესაც, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სიტყვით,—საქართველოში მომქმედი სახელმწიფო ქონებათა სამართველო ყოველ კანონიერ და უკანონო ზომებს ხმარობდა, რომ გლეხ-კაცობისთვის მიწა-წყალი წაერთმია, ნივთიერად დაეზარალებია (საბუთები იხ. ხელმწიფის მოადგილეს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის „Всеподаннѣйшая записка по управленію Кавказскимъ краемъ" 1907. г. Тифлисъ—ვრცლად ჩვენ სპეციალურ წერილში შევეხებით—ავტორი) კავკასიის მთავარ მართებელი, თავადი გოლიცინი კიდევ უფრო შორს ფიქრობდა წასვლას, ისა სცდილობდა საქართველოში საგლეხო ბანკი მხოლოდ რუსებისათვის ყოფილიყო დაარსებული და სხვა ტომის ხალხს იქ ჭაჭანება არ ჰქონოდა (იხ. Сасновскій—„Матеріалы...").

მაგრამ, ყოველივე ამას რომ ყურადღება არ მივაქციოთ, განა თვით საგლეხო ბანკის მოქმედება სასნოვსკის და გოლიცინისებურ პროექტიოსებზე უფრო ნათლად არ გვაჩვენებს ფაქტს, რომ საგლეხო-ბანკი სრულებით არ ეხმარება გაჭირვებულ გლეხ-კაცობას? საგლეხო ბანკის წყალობით, მიწის ფასი თან და თან იწევს, რენტა იზრდება და გლეხ-კაცობა თან და თან სუსტად ახერხებს მიწების შეძენას.

სოფლის სესხის გამცემი და შემნახველი ამხანაგობანი (ссудо-сберегателныя товарищества) ისეთი სასოფლო და საგლეხო დაწესებულებაა, რომელიც ბიუროკრატიულ მთავრობის სასიხარულოდ-შეუძლო და გაჭირვებულ გლეხ-კაცობას კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აგდებს.

სოფლის სესხის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი საქართველოში წვრილ საკრედიტო დაწესებულების დიდ უმრავლესობას შეადგენს. კიდევ მეტიც მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებების ასეთი ტიპია ჩვენში გავრცელებული ისეთი კი, როგორც „საკრედიტო ამხანაგობანი" არის (кредитныя товарищества) თუ არ ვცდები ჟურნალ „На Кавказѣ"-ს მე №2-ცნობით, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ხუთიოდეა, სასოფლო [illegible]ბი კიდევ უფრო ნაკლები. ისე რომ, როცა ჩვენ საქართველოს წვრილ სესხის თანამედროვე მდგომარეობას ვეხებით უმთავრესად პირველი ტიპი-სესხის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობაში ვიქონიოთ მხედველობაში.

რამდენათ აუმჯობესებს სესხის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გლეხ-კაცობის, გაჭირვებულ ნაწილის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებას? და რა მდგომარეობაში იმყოფება საერთოდ ჩვენში და რუსეთში სასესხო დაწესებულების ეს ფრიად გავრცელებული ტიპი?

როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ასეთი წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი უმთავრესად მე-70—86 წ.წ. განვითარდა; პირველად რუსეთში 1866 წელს გაიხსნა კოსტრომის გუბერნიის სოფელ დოროვატოვში, 1869 წელში ამგვარ დაწესებულებას მეორე მიემატა, შემდეგ მესამე და მე XIX-საუკუნის მეორე ნახევრის შუაგულში ასეთი დაწესებულებანი ფრიად გავრცელდა, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში, ისე განაპირა ქვეყნებშიაც.

შემნახველ-გამსეს. ამხანაგობანი ხაზინიდან არავითარ სუბსიდია-დახმარებას არ იღებენ. ძირითადი თანხა ამხანაგობის საწევრო გადასახადიდან, (ხშირად 25 მანეთ) სდგება. ამნაირად, ამხანაგობის წევრი მხოლოდ ის არის, ვინც 25 მანეთიან პაის იყიდის, მაგრამ 25 მან. თავისუფალი ფული გლეხ-კაცობისას გაჭირვებულ ნაწილს ყოველთვის არ მოეძებნება, ამისათვის, ამხანაგობაში პირველად ისეთი წევრები შედიან, რომელთაც თავისუფალი ფული აქვთ, ე. ი. სოფლის წურბლები, რომელთა უმთავრეს მიზანია საკუთარ თანხის გასესხება, მით უმეტეს რომ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობანი საუკეთესო გარანტიაა სესხის უზრუნველსაყოფად (მაგ. უძრავ-მოძრავი ქონება, თავდებები და სხვა) მაგრამ, ასეთ ამხანაგობაში გამსესხებელ ჯგუფის გარდა მონაწილეობას იღებს აგრეთვე გაჭირვებული ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც უმატებს და ზრდის გამსესხებელ ნაწილის თანხისას ზედ-მეტ ღირებულების შემქნელი მსესხებელი ხალხი თავისუფალ თანხის არსებობით როდი იღებს მონაწილეობას შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში; მან იცის,

# ვაშლები

ზოგ ადამიანის სახეს ძალიან სცვლის დრო, რაც უნდა ჩააკვირდე, ვეღარ იცნობ თუნდაც ოდესმე მახლობელი ნაცნობი იყოს. ზოგ სახეს კი ისეთი რამ დამღა აზის, თუ ერთხელ თვალი დაჰკარ, თავის დღეში აღარ დაგავიწყდება: ვერც განვლილი ჟამი, ვერც დროთა ბრუნვისაგან დაჭდეული ცვლილებანი შენს გონებაში ამ სახეს ვერ წაშლიან.

რამდენი ხანია, არ მენახა ჩემი ნაამხანაგარი სანდრო; ჯერ ისევ ბალღები ვიყავით, როცა ერთმანეთს დავშორდით, ჯერ ულვაშიც-კი არ აგვეხინებოდა, მაგრამ, შევხვდი თუ არა, შევხედე თუ არა ჰალარას ჰალარამ, მაშინვე ვიცან.

ეს წაუშლელი დაღი მის სახეზე, ეს აღმოუფხვრელი ნიშანი მის თვალთა გამომეტყველება იყო.

შეგინიშნიათ ყასაბხანაში მარად დამშეული არსების თვალთა იერი? მსუნაგი, გაუმაძღარი, ქურდულად მომზადებული; დაღლულ-დატუქსული, კუდ ამოძუებული?..

მუცელ-გაუმაძღარ სახლის შვილი იყო სანდრო, უპოვარ-უპოვარი, ხოლო გიჟმაჟ ბუნებას მახვილი ყნოსვა-გემოვნება მიეცა და სიძაქლემას კუჭი დაეტანებინა. მას, ჩემს სიყმაწვილის მეგობარ სანდროს, ეკუთვნის კლასიკური თქმა: „ნეტა ეს უზარმაზარი სახლი პურად აქცია, შიგ შემსვა, რომ ვსჭამო და ვსჭამო!"

და თუ სადმე წამოასწრობდა სანოვაგეს, ლხინად მოგეცესთ, რაც მას დღეს დააყენებდა! საჭმელი თრთოდა მის წინაშე, მსწრაფლ ილეოდა მისი შიშით, ჰქრებოდა. ნეტა მუცელი მაინც სჩნეოდა დალოცვილს! უმუცლო ბიჭი იყო, მხარ-ბეჭ განიერი, ცოტა წინ წახრილი. არც შემდეგ დაემსახურებინა ღიპი რამ, დაფუკული ვაჟკაცი დამდგარიყო.

მეტადრე ელეთ-მელეთი მოსდიოდა სანდროს ხილის დანახვაზე. წითლად დაბროწილი ვაშლის ლოყები საკვირად იზიდავდნენ მას. ისეთის ლმობიერებით უმზერდა ხოლმე თურაშაულს ბაყლის თაბახში თუ გოდრის პირზე ეშხიანად მოწყობილს, როგორც სატრფოს გულდატყვევებული მოტრფიალე. ძალიან უყვარდა თეთრ-წითლები, გული უთქვამდა მათთვის, თვალით უალერსებდა მათ. ვაი, რომ მიუწდომელნი იყვნენ მისთვის იგინი! მხოლოდ მზერით იკლამდა ჟინს, მითი კმაყოფილდებოდა.

და თუ ოდესმე მოხვდებოდა გვერდ-წითელი მის გრძელ და ოდნავ მოკაუჭებულ თითებს, მშვიდობით! ისე ჩანთქამდა ქერქიან-კურკანად, რომ კრთილის ტოლას არ გადააგდებდა, ფერფლს არ დაჰკარგავდა.

აი, ამ ჩემს მეგობარს შევხვდი იმ დღეს. ათასი რამ ეყიდნა, ბადის ჰოპრაკში ალაგებდა და თან ილმუძლებოდა. გამეხარდა, გადავეხვიე.

— გამარჯვება, სანდრო, ჩემო დიდიხნის უნახავო მეგობარო!

— გაღმეგრძელოს ღმერთმა! უკაცრაოდ კი, ვეღარა გცნობთ.

— აღარ გახსოვარ შენი ძმობილი დათიკო იკვლივაძე?!

— შენა ხარ, ჩემო დათიკო?! როგორ გამოცვლილხარ, კაცო!

— დრო გვითხრობს, გენაცვალე, დრო! შენ კი ძალიან არ დაგჩნევია ცვლილება.

მივესურვილეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ. მთხოვა, მის სახლში მივსულიყავ, მისი ჯალაბი გამეცნო. ბინაც მასწავლა.

* *

ახალწელიწადს დღეს ვეწვიე, საღამო ხანზე. შემიწვიეს. ოთახი თითქმის სავსე იყო ავეჯით და სუფთად მოწყობილი, ჰაზრიანი დიასახლისის ხელი ეტყობოდა. მეორე ოთახიდან ბალღის ხმა ისმოდა ერთმანეთს საკითხი ვკითხეთ. ვუამბეთ. სანდრო სამმართველოში მსახურებდა თურმე, საკმაო გასამრჯელოს იღებდა, თუმცა იმ ჯამაგირით ფართო ცხოვრება კი არ შეეძლო. კარი გაიღო და ლეჩაქ გაფარფარებული დიასახლისიც გამოვიდა. ფაშფაშა ქალი იყო, თვალები უღიმოდა, ლოყები ეჩვრიტნებოდა; რბილი ხელი ჰქონდა, ფაფუკი, მიამა, რომ შევხედე, გამეხარდა. კარგია, როცა მანდილოსანს ჟამი სახე არ გამოაქვს დარბაზში, თავ-პირი არ ჩამოსტირის, ზეთი არ ჩამოსდის.

— სანდრო გუშინ ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა! მიამბო თქვენი ნახვა და გამოცნაურება.

— ვერ მიცნო, ჩემო ბატონო; მე კი მაშინვე გავიხსენე.

— მითხრა, ვერ ვიცან, ძალიან გამოცვლილაო; მიამბო, როგორ ძმად შეფიცულნი ჰყოფილხართ პატარაობას.

ვისაუბრეთ, ტკბილად ვიმუსაიფეთ. მთხოვა სახლობაც გამეცნობებინა, გამომკითხა ოჯახის გარემოება; თითონაც მიამბო თავისი და თავის სახლის ამბები. მესიამოვნა, რომ ამისთანა კარგი თანამგზავრი შეხვედროდა სანდროს ცხოვრების გზაზე. მეგობარიც გახალისდა, ძველი ამბები მოიგონა, სასაცილოც ბევრი სთქვა. ისე ტკბილად ვჭუკჭუკებდით სამნივ, როგორც დიდი ხნის დაშინაურებულნი.

ჩაი მოიტანეს, ნამცხვარი, სასმელები, ხილეული. მთელი დიდი ვაზა სავსე იყო დაკრიალებული ვაშლებით. საუკეთესო ჯიშის ვაშლი იყო და მშვენივრად შენახული; ერთი ბეწო დაშავებული ადგილი არსადა ჰქონდა. სწორედ ეს ვაშლით სავსე ვაზა იყო სუფრის მაზა და მშვენება.

შეუდექით. უფრო გავმხიარულდით. დიასახლისსაც უფრო და უფრო გაუნათდა სახე. ერთი მაკვირვებდა: ამ კეთილ სახეს წარბებ შუა რღმა ღარი ასდევდა. სრულებით არ უდგებოდა, არც უხდებოდა ამ მტკიცე სახეს იგი ნაოჭი. ნეტა რამ გაღარა ესე ღრმად სპეტაკი შუბლი ქალისა?! გავიფიქრე ერთ წამს, მაგრამ მალე მივანებე თავი ამ ფიქრს: შევექცეოდით, ფიქრისთვის არ მეცალა. ეჰ, ყველა ოჯახში თითო კოჯობი დუღს, ყველა ოჯახს თავისი დარდი აქვს მეთქი, დავიწყნარე ჰაზრი. მაგრამ გაღვიძებულმა ეჭვმა აღარ მიიძინა და დაუწყე მასპინძლებს იდუმალი თვალიერება.

* *

სანდრო სუნთქამდა ნამცხვარს. დიასახლისი ხამუშ-ხამუშ მიანათებდა მიანათებდა მას თვალებს. ქმარი თვალს არიდებდა, თანაც ქვეშქვეშ გაიმზირებოდა მისკენ; კაცის თვალში რიდი დაკრძალვა კრთებოდა. გავათავეთ ჩაი, მივყავით ხელი ტკბილეულს. სანდრომ აიღო საუკეთესო ვაშლი, გაფცქვნა ნახევარი სუფთად და მომაწოდა ნაჭერი; დანარჩენს ოდნავ აძრო აქა-იქ ქერქი, მოიმარჯვა მადიანად ხელი, გახლიჩა პირი და ვაშლის ყუნწი და შერჩა თითებში. დიასახლისმა მსწრაფლ შეანათა მას თვალი. მეუღლე უგემურად შეინძრა და შეიკუმშა.

დავლიეთ! გავხალისდით, შევქეიფიანდით. ნელნელა გაიტეხინა სანდრომ, გაბედა! მთლადაც აუშვა თავისი შეუკავებელი მადა, მოხსნა სახლართი უძირო კუჭს, აღალო ბაგე-მაფრაში. ახლა კი მთლად დავრწმუნდი, რომ ისევ ჩემ ძველ მეგობართან ვიყავ, უცვლელ სანდროსთან. შესუსტდა ქალის თვალთა ძალი, დაჰკარგა მან გავლენა „ვეღარ გასჭრა: დაწყვიტა მეგობარმა, დაზიზდა იგი და აწ მისი შეკავება ვეღარავის შეეძლო. მოელუშა სახე დიასახლისს, ჩაუღრმავდებოდა შუბლის ნაოჭი. მეც რაღაც ავმა ანგელოზმა გამიტაცა და თვითონ დაუწყე მასპინძელს შეპატიჟება; ზედიზედ ვაწვდიდი ვაშლს, მსხალს, ღვინით სავსე ჭიქას და ყველა კეთილს. ნუნუა უფრო და უფრო უტკბებოდა მეგობარს. გამბედაობით აევსო გული. ენა აეცრა. მალე მოიფოთლა იქავრობა, ფსკერი დაანდა ვაშლის ვაზას თუ სინებს.

* *

არა მგონია, იმ წუთს კეთილი გულით ყოფილიყოს ჩემზედ მეუ

რომ თუ დღეს ის 25 მან. საპაიო ფულს სადმე იშოვის-თავის მამულ-დედულის დაგირავებით—ხვალ მას კასაში კრედიტი გაეხსნება და 50 მანეთიდან 100 მანეთამდე რუსეთში ზოგან 150—200 მან). გამოტანა შეეძლება. შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის პრაქტიკაში ფრიად ხშირია იმის მაგალითები, რომ გაჭირვებული მსესხებლები 25 მანეთის სასესხებლად 510— მ. სარგებელს აძლევს მევახშეებს მხოლოდ რამდენიმე დღეში. გარდა მევახშის ექსპლოატაციისა, მსესხებელი მეტის მეტად დიდ სარგებელს თვით შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობასაც აძლევს. ასეთი სარგებელი ჩვენში უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში. რუსეთის ჩრდილოეთ რაიონში მაგ. სესხზე პროცენტ. ჩვეულებრივად 6—9 პროც. უდრის, 113 დაწესებულებიდან 12 პროც. მხოლოდ 18 დაწესებულებაში იხდიან, ე. ი. რაიდაც 15,93 პროც., 10—11 პროც. იხდის დაწესებულების 10,62 პროც. ხოლო დანარჩენი 73,45 პროც. იხდის 6—9 პროც. კიდევ უკეთეს პირობებში იმყოფება ამ მხრივ ბალტიის ზღვის და პოლონეთის რაიონები. არც პოლონეთის და არც ბალტიის მხარეში 12 პროც. სესხში არავინ იხდის, მხოლოდ თითო-თითო დაწესებულებებია იქ, რომელნიც იხდიან 10—11 პროც., დანარჩენ დაწესებულებებში მხოლოდ 6—9 პროც. იძლევიან. სულ სხვაა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში. ამიერ-კავკასიაში 12 პროც. და 10—11 პროც. ყველგან იხდიან, ხოლო 6—9 პროც. არც ერთ დაწესებულებაში. ამიერ-კავკასიის 7 დაწესებულებაში იხდიან 12 პროც., 11-ში — 10—11 პროც. ხოლო 5—9 პროც. სტატისტიკა სრულებით არ იხსენიებს.

როგორც ჰხედავთ, მსესხებელნი საქართველოში უმთავრესად დიდ სარგებელს იხდიან, მაგრამ ამას თუ მიუმატებთ იმ გარემოებას, რომელსაც საქართველოში თითქმის ყველგან აქვს ალაგი და სესხად აღებული ფული საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უნდება, მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ დღევანდელ საკრედიტო დაწესებულებების პირობებში გაჭირვებული მსესხებელი გლეხი სესხით არა თუ აუმჯობესებს საწარმოვო იარაღებს, ოჯახის მდგომარეობას და სხვა, არამედ ერთიანად ვალში ვარდება, კასაში აუტანელ სესხის პროც. ვეღარ იხდის, სარგებელი სარგებელს ემატება, ვალი დიდდება, და ბოლოს სესხის გამცემი ამხანაგობა—წესდების ძალით,—გლეხის მოძრავ-უძრავ ქონებასა საჯაროდ ჰყიდის. თუ პირდაპირ მსესხებლებს არაფერი გააჩნია. ასეთივე ბედი თავდებებს ადგებათ, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს საკუთრებისა და ქონების პატრონი.

გამსესხებლის თანხა სწრაფად იზრდება, მსესხებლის მდგომარეობა კი უარესდება. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მსესხებელს ნასესხებ ფულებით თავისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინოს. პირიქით, ყველა სესხის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებიდან ვხედავთ, იქიდან თან და თან ირიცხება გაკოტრებული და გაღატაკებული პირვანდელი ელემენტები და მათ ალაგს კიდევ ახალი მსხვერპლნი იჭერენ. გურიის დაბა ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობიდან ბევრი წევრები, გაფცქვნილნი და გატყავებულნი გამოვიდნენ 1909 წელს, დარჩნენ უმეტესად ფულის გამსესხებელნი, რომელთა 25 მანეთიანი პაი დღეს 90 მ. ფასობს. ასეთი გარემოება ყოველ სოფელში, ყოველ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებშია და ეს ფაქტი იმდენად დამკვიდრებულია დღეს მთელ რუსეთში, რომ მის მოსპობაზე ბევრი მითქმა-მოთქმაა. რუსეთში 1900 წლამდე 1459 შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებიდან დაკეტილია 717 დაწესებულება, ე. ი. თითქმის 50% (იხ. отчетъ по мелкому кредиту)

როგორც კონკრეტიულ ცნობებიდან ვხედავთ, სასოფლო სესხის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობებს თან და თან ნიადაგი ეცლება და ხალხი ახალ წვრილ სესხის დაწესებულებას დაეძებს. რამდენადაც ეს პირვანდელი ფორმა წვრილ კრედიტისა უძლური და ფართე საზოგადოებისათვის საზარალო გამოდგება, იმდენადვე ახალ ფორმებს, სასესხო დაწესებულებას, ნოყიერი ნიადაგი უმზადდება. „საკრედიტო ამხანაგობანი“ (кредитныя товарищества) რუსეთში ძლიერ ვითარდება. შემდეგი ცნობა ამას ნათელჰყოფს:

| წლები | გაუხსნიათ საკრედიტო ამხანაგობანი |
|---|---|
| 1904 | 231 |
| 1905 | 242 |
| 1906 | 427 |
| 1908 წ. 1— ენკენისთვემდე. | 1150 |

1904 წელში, მთელ რუსეთში, საკრედიტო ამხანაგობანი სულ 43 გუბერნიაში არ არსებობდა, 1905 წ.—37 გუბ. 1907 წ.—34 გუბ. და 1908 წ.—23 გუბერნიაში.

დიდის ნაბიჯით მიდის წინ „სასესხო ამხანაგობათა“ დაარსების საქმე მთელ რუსეთში. როგორც ზევითა ვთქვით, ამიერ-კავკასიაშიაც არის რამდენიმე ანალოგიური დაწესებულება, რომელსაც ჯერ თავის პრაქტიკულ მოქმედების განუვითარებლობით ნამდვილი სახე არ გამოუჩენია. მაგრამ ჩვენ, რომელნიც წინასწარ ვაკვირდებით და ვიკვლევთ თეორიულად მის შინაარს, კარგად ვიცით, რომ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობასთან ერთად ამ დაწესებულებასაც არ შეუძლია განკურნოს ის იარა, რომელიც სასოწარკვეთილებაში ამყოფებს ხალხის მშრომელ მასსას.. „სასესხო ამხანაგობათ“ — რომელნიც ბიუროკრატიულ მთავრობის ხაზინასთან მჭიდრო კავშირი აქვს, ცხადია ამ დაწესებულებასაც თავის მიზნისათვის გამოიყენებს და ხალხის ხელმოკლე ნაწილს მდგომარეობას არა თუ გააუმჯობესებს, არამედ გააუარესებს კიდევაც.

მაშ, რა ტიპის სასესხო დაწესებულებებია უფრო ხელსაყრელი და საჭირო?—

პირველ ყოვლისა, სესხის საქმე და სასესხო დაწესებულებათა ტიპები უსარგებლო იქნებიან მანამდე, სანამდისინ სესხის მესვეურად და ინიციატორად ბიუროკრატია იქნება. ამისათვის, სესხის მოწესრიგებას ხელმოკლე საზოგადოება უნდა მეთაურობდეს, რომელიც ყველაში უფრო დაინტერესებულია სესხი აიღოს და თავისი სოციალ-ეკონომიური კეთილდღეობა ოდნავ მაინც დაიცვას.

შესძლებს კი ამ ნიადაგის მომზადებას მომავალ თებერვლის წვრილ სესხის მესვეურთა სიეზდი ტფილისში?

ამას სულ უმახლობლესი მომავალი დაგვანახვებს.

თევდ. ღლონტი.

# პატარა ფელეტონი

## დღესასწაულის ბრალია.

(ჩემი თავ-გადასავალი).

ეხლა ჩვენში ბენეფისების ხანაა: აი, გასულ კვირაშიაც, როგორც ქართველმა მკითხველმა უწყის, ჰალვა-გოზინაყის ბენეფისი იყო, რაშიაც, ასე თუ ისე მეც მონაწილეობას ვიღებდი და ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი საჭირ-ბოროტო ამბების გაზიარება დამავიანდა. მოგეხსენებათ მეოჯახეს საქმე! ჩემმა მეუღლემ, ხან კაკალი მამტვრევინა და ნიგოზი შემტვრევინა, ხან ტაფასთან მიმიყენა, რომ ადუღებული თაფლი არ გადმოსულიყო (მერე რა უცბად იცის იმ ტიელმა აშიშინება!), ხან კიდევ ჩემ შვილებს ვყარაულობდი, სტუმრებისათვის ცალკე შენახული ტკბილეულობა არ შეესანსლათ, ხან ათას სხვა შინაურ საქმეებზე ვჭირდებოდი ჩემს ცოლს.

ცოლმა რომ გამანთავისუფლა, ახლა მისალოცი ბარათების წერას მოვუნდი; ერთი კვირა კი მილოცვა-მოლოცვის სკვინჩაობას—ჩემთან, თქვენთან, იმასთან... ვინ მოსთვლის. ბედნიერი დღეა, ხომ ვერავის აწყენინებ, აქ არაყი ჰსვით, იქ ნუყლი, აქ წითელი, იქ თეთრი.

რომ მკითხოთ, ვერც კი გეტყვი სად, ვისთან ვიყავი... რაღა დაგიმალოთ, სწორედ ამ ხანაშივე ერთი სამარცხვინო საქმე დამემართა. მგონი ახალწლის მესამე დღე იყო; ვიღაც „ქველ-მოქმედმა“ ეტლით სახლში მიმიტანა. ჩემი ბინის კარები რომ შევაღე თურმე კეფაზედ ქუდ-მოგდებული ცნობილ პოეტის რაღაც რომანსსა ვმღეროდი „ბოლე მაიას ხმაზე“. სამი დღე სახლში არ ვყოფილვარ და, რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე და კაპარჩხინა სიდედრი პირზე კოცნით არ დამხვდებოდნენ: ასასხებივით წამომადგნენ თავზე და ჩემს ღირსებათა აღნუსხვას მოჰყვნენ. ჩემ ცხვირის წინ მალ-მალ გაიელვებდა ხოლმე შეკუმშული მუშტები. სავსე რუმბივით სული გავტრუნე (ჰუნებით მყუდრო ცხოვრების მოტრფიალე ვარ!) და ღიღინსაც თანდითან ვუკლე. ოთახში თბილოდა და მთელ ტანში რაღაც სასიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა. ფიქრებმა წამიღო და ცოლ-სიდედრის ბუზღუნი შორეულ მაყრულის სიმღერასავით მომესმოდა,..

მაგიდაზე დავეყრდნე... უცბად მომესურვილა ზოგიერთ რედაქციებში შემევლო, ნაცნობ-ამხანაგნი მენახა და დღესასწაულებიც მიმელოცნა. თქმა და ქმნა ერთი იყო. თუმცა დიდი გაჭირვება გამოვიარე; ძლივს შევახწიე „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში, რადგანაც ამ ერთად-ერთ ყოველ-დღიურ გაზეთის ხელის-მომწერლები ვანქის ქუჩიდან ვორონცოვის ძეგლამდე გამწკრივებულიყვნენ და ელოდნენ თავიანთ რიგს.

აღმაფრთოვანა ამ სანახაობამ!

რედაქციის ოთახში რომ თავი შევყავ, ჯერ ნარ-კანს დაუწყე ძებნა. საბრალო, ძლივს შევნიშნე: საფელეტონო წერილებში და მიღებულ კორესპონდენციებში ისე ჩაფლულიყო, რომ ყურები-ღა უჩანდა; ხელების ფათურით იხვეწებოდა „მიშველეთო“, მაგრამ იმისათვის არავის სცხელოდა—ყველას თავისი დარდი აწუხებდა:

სანდრო ფანჯარის ფიცარზე შესკუპებულიყო, ცალი ხელით ტ—ძის კარიკატურას ჰხატავდა, მეორეთი—ახალ პოემას სწერდა 606-ის სათაურით; „ისტორიკოსს“ ერთ საქენიანი ჰაკრატელი ეჭირა, გაზეთებიდან სხვა და სხვა მოღვაწეთა ტიკინებსა სჭრიდა და ზედ შესაფერ ეპიტეტებს აწერდა „ოხუნჯის“ სამასალოდ.

აუარებელი თანამშრომლები საადრესო „ბლანკების“ დამზადებას ვერ ასდიოდნენ. იყო სიცოცხლით სავსე, გამახალისებელი მუშაობა. მიამა და ვიფიქრე: აქ ხელს ნუღარ შეუშლი მეთქი (თავისუფალი ადგილიც არ იყო) და გავსწიე ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მაღაზიისაკენ. მინდოდა გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქციაშიც შემეარნა, მაგრამ ერევნის მოედნიდან, რომ რედაქციის ფანჯრებს გავხედე, მუშტების ტრიალს მოვკარი თვალი: საბრალო პართენი აჩოდილივით აჰკვროდა ერთ ფანჯარას და თვალებს იწმენდდა. ვსთქვი: „ცოდობოსოსა“ მეთქი და გვერდზე ჩაუარე. მოწიწებით გავიარე ეგრედვე გაზ. „ზაკავკაზიის“ კარებიც, სადაც მრავლად შეჯგუფული სხვა და სხვა „რანგის“ მოხელენი წარმატება-ჩინებზე გახარებით ბაასობდნენ...

წ. კ. საზოგ. გამგეობაში რომ შეველ, წარმოიდგინეთ საოცრება: გამგეობის ყველა წევრი თავ-თავიანთ ადგილას დამხვდა: მთავრობის შიშისგან ლაჩრულად თავ-დახწეული წევრებიც კი შინანებით თავიანთ კეთილშობილურ საქმეს დაბრუნებოდნენ; თითოეულს თავს ადგა ორ-ორი კაცი და მალი-მალ ზეწრებით ოფლსა სწმენდდნენ თავ-გამოდებით მომუშავეთ: ამზადებდნენ შესაფერ განკარგულებას, რომ ახალ წლიდგან, თითოეულ მაზრაში ახლად გაეხსნათ ათ-ათი სკოლა და იმდენივე სამკითხველო. ავალიშვილი ახლად გამოცემულ წიგნების ჩაწერას და აუარებელ წიგნების დაგზავნას ვერ ასწრობდა. მდივანი გ. კაკაბაძე არსადა სჩანდა, როგორც გადმომცეს, მუშაობით უქეიფოდ გამხდარიყო და არქეოლოგიურ საზოგადოების საავადმყოფოში დაეწვინათ. არა მჯეროდა, რომ ამ არა ჩვეულებრივ სურათს ვხედავდი და აღტაცებისაგან ბავშვივით ცმუკვა დავიწყე..

ბოლოს „ცხოვრება და ხელოვნების“ რედაქციაშიაც შევიარე, ჯერ არც კი შევსულიყავი, რომ ერთი ჟრიამული ასტეხეს:

— ააა! ძლივს არ ჩაგიგდეთ ხელში: უეჭველად შენც უნდა რედაქტორად ჩაგწეროთო. ვაჭარივით დავიღრიჯე და თქვენი ჭირიმეთ, ნუ დამღუპავთ, ცოლ-შვილის პატრონი ვარ, რა ცოდო მიმიძღვის თქვენ წინაშე მეთქი! მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ: ვერც ხვეწნა—მუდარამ, ვერც ჩემმა მდუღარე ცრემლებმა ვერ მოალბო მათი გული.

— შენ ვიღასი წითელი კოჭი ხარ, სადაც ამდენი ხალხი ვართ შენც მოიტეხე კისერიო.

რაც მოჰივა-მოშივიდეს მეთქი, ვთქვი ერთი, ღონივრად გამოვიწიე კარებისაკენ, მაგრამ თურმეტი რედაქტორი დამებღაუჭა... ტანთ შემომეხა, ოფლში გავიწურე, გული ამოვარდნას ლამობდა... ერთი კიდევ მოვიკრიფე, რაც ძალ-ღონე მქონდა და თავგანწირვით გამოვიწიე კარებისაკენ და ზღართანი მოვიღე იატაკზე! თურმე ყველა ეს დამსიზმრებოდა.

ავიხედე, ჩემი სიდედრი თავს წამომდგომოდა და ქოქოლას მაყრიდა.

— აა-ი! დამიხედეთ ცოლშვილის პატრონს, დარბაისელ ვაჟბატონსა!...

გ. ახალციხელი.

# ბიბლიოგრაფია

(ეპისკოპოზის კირიონის წიგნი—Культурная роль Иверіи въ Исторіи Руси).

იშვიათი და ძვირფასი წიგნია ეპისკოპოზის კირიონის წიგნი. ამისთანა საინტერესო თხზულება ბევრი არ დაბეჭდილა ჩვენში. სასიამოვნოდა გრძება, როგორც სამეცნიერო ხასიათით მისი, ისე დიდი ცოდნა საგნისა ავტორისაგან და მისი ღრმა ერუდიცია.

უმთავრესი საგანი თხზულებისა ის არის, რომ ივერია ანუ მთლად საქართველო ძველად—დიდი და ძლიერი საქრისტიანო სახელმწიფო იყო და დიდი კულტურული გავლენა ჰქონდა ყველა იმ ქვეყნებზე, რომლებიც საქართველოს მახლობლად მდებარეობდა, აგრეთვე რუსეთზედაც.

საქართველომ ქრისტეანობა მიიღო მეოთხე საუკუნეში, ხოლო რუსეთმა—მეცხრეში. ჯერ ისევ ქრისტიანობის მიღებამდე, ჩვენი ქვეყანა კულტურის ნიშან-წყალს არ იყო მოკლებული მცირე აზიის სხვა ქვეყნებ შორის. საბუთები ამისა ცოტა არ მოიპოვება. საკმაოა გავიხსენოთ მცხეთის ახლო ნაპოვნ ქვის წარწერა პირველ საუკუნისა ქრისტეს დაბადების შემდეგ. აგრეთვე მოწმობა სტრაბონისა ივერიის ქალაქების შესახებ პირველსავე საუკუნეში.

ქრისტეანობის მიღების შემდეგ მეოთხე საუკუნეში, მოქალაქობისა და განვითარების ნიშნები უფრო ძლიერდება. ამას ჰმოწმობს, როგორც თვით ფაქტი ქრისტეანობისა და სახარების მაღალის მოძღვრების გავრცელებისა, ისე აღყვავება ქრისტეანობისა კაბადოკიაში, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული. მეოთხე საუკუნეში იქ ბრწყინავდნენ ისეთნი მნათობნი ქრისტეანობისა, როგორიც იყვნენ სამი დიდებული კაბადოკიელი: ვასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი, ძმა ვასილისა.

კირიონი თავის თხზულების პირველსავე კარში ჰხატავს საუცხოვო სურათს ქრისტეანობის გაძლიერებისას მეოთხე-მეხუთე და შემდეგ საუკუნეებში, როგორც საქართველოს სამზღვართა შორის, ისე მის გარეშეცა.

ქრისტეანობის დიდნი ქართველნი მოღვაწენი იყვნენ მაშინვე: წმ. პეტრე ივერი, ფედული და წმ. მარტირი საბა წრინდელი, ახალი პეტრე ივერი, საკვირველ-მთის მეუდაბნოე ანტონი, ეპისკოპოსი სელევკიისა, წმ. იოანე მოსხი, ბიზანტიის პატრიარქი გერმან III, მიხეილ სინკელლი, წმ. სასწაულთ მოქმედი ილარიონ ქართველი [illegible] ილარიონია, რომლის მოწაფეებსაც დიდს პატივსა სცემდა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი მაკედონელი. იმათ მონასტერში გააკეთა იმპერატორმა ცალკე სენაკი, მომართა შიგ წიგნთ-საცავი და ხშირად და ხანგრძლივ ატარებდა დროს ამ სენაკში. თავისი შვილებიც იმათ მიუყვანა და შეევედრა: გაწვრთნეთ ესენი, ასწავლეთ ზნეობა და თქვენებური წერა-კითხვაო. ბასილი სომეხთაგანი იყო და არ მიემხრო ანტიხალკიდონიტებს, არ იწამა სომხის სჯული მონოფიზიტობისა და დარჩა მართლ-მადიდებელი. განვაგრძოთ კიდევ ჩამოთვლა ქრისტეანობის ბურჯთა იმ ძველის-ძველ დროს: ისიქასტირიონი საბა ქალდი (ქართი, ქართველი), წმ. გიორგი ნიკომიდიელი, ღირსი მამა თოანე ივერი, დამარსებელი ათონის მონასტრისა ქალკიდონის ნახევარ-კუნძულზედ ბიზანტიაში, ღირსი მამა თორნიკე, შესანიშნავი, მძლეველი ბარდა სკლეროსი, ღირსი მამა გაბრიელ, ივერიის კარისა ღვთის მშობლის ხატის ზღვიდან აღმომყვანელი, თეოფილე, მიტროპოლიტი ტარსისა პავლე მოციქულის სამშობლო ქალაქისა, ექვთიმე აგიორიტი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, ექვთიმე თორნიკი, მთავარ-ეპისკოპოსი ნეოპატრიისა და სხვ.

თითოეულ ამ მოღვაწეთა, მეუდაბნოეთა და სახელოვან მამულისშვილთა ბიოგრაფია დაწვრილებით არის მოთხრობილი თვით წიგნში და ამიტომ აქ სიტყვას აღარ განვაგრძობთ. ვიტყვით მხოლოდ, თვით კირიონის სიტყვისამებრ, რომ ქართველნი განათლებული და უუძველესი ერია და ქრისტეანობის დროს მათ შეჰქმნეს მაღალი საქრისტეანო კულტურა და ყოვლად მდიდარი სალვთისმეტყველო მწერლობა.

„ქართული ლიტერატურა, როგორც სამართლიანად ამბობს ნ. მარრიცა, დიდი და ძვირფასი განძია აღმოსავლეთის საქრისტეანო ეკლესიისა... ესოდენ მდიდარია მისი მასალები, ისეთ ფართო და რეალურ სანახავებს გვიყენებს თვალ-წინ, რაც სიზმრადაც არ დაჰსიზმრებია ევროპის ისტორიულს მეცნიერებას“. „თვით ჩვენ, სპეციალისტები“ განაგრძობს მარრი,—„ჯერ კიდევ შორა ვართ და ვერ ვიტყვით, სულ ვიცით, რაც კულტურული სამკვიდრო დარჩენიათ ქართველებსაო. „და ჩვენც მცირე რაიმე ვიცით და მცირედრასმე ვწინასწარმეტყველებთ (1 კორ. 13. 10).

ამავე დროს რას წარმოადგენდა რუსეთი? რუსეთი ამ დროს, ესე იგი მეცხრე-მეათე საუკუნემდე მეტად ველური ქვეყანა იყო, ხალხი რუსეთისა უმეცარი და, მემატიანეს სიტყვით, ნადირივით მცხოვრები: живяху звѣринскими образомъ... живуще скотски... живяху въ лѣсахъ. ადამიანებსა სწირავდნენ მსხვერპლად ჯერ ისევ ვლადიმირის დროს, მაშინ, როდესაც საქართველოი, წილხვედრი ღვთის-მშობლისა, მთელ საქრისტეანოში ცნობილი იყო, როგორც მტკიცე აღმსარებელი და გულმოდგინე აღმსრულებელი ღვთიურის მოძღვრებისა.

„ქართველებიო, ჰმოწმობს ისტორიკოსი პროკოპი (5—6 საუკუნ.), სენატორი და მდივანი იუსტინიანეს მხედართ-მთავარის ველიზარისა, — ყველა ქრისტეანებზე მტკიცე დამცველნი არიან სამღრთო წესების, თუმცა ძველთაგანვე ემორჩილებიან სპარსეთსაო“.

რა სახელი ჰქონდა საქართველოს ეკკლესიას იმ ძველ დროსვე (მე-8 საუკ.), ამას ამტკიცებს თუნდ ის გარემოება, რომ გოთფის კათედრაზე არჩეული იოანე მიდის კონსტანტინეპოლს ეპისკოპოსის ხარისხის მისაღებად, მაგრამ ვერ ჰპოვებს იქ ვერც ერთს ისეთს ეკკლესიას, რომელიც არ იყოს მწვალებლობით შებღალული მაშინდელ ხატთა საწინააღმდეგო ბრძოლის გამო. ამიტომ იოანემ გადასწყვიტა—კურთხევა მიეღო საქართველოს ეკკლესიისაგან, წამოვიდა იქიდან საქართველოს და

---

ნიერი დიასახლი. რომ გული მოვეგო მისთვის, რამდენჯერმე მივმართე მას საალერსო სიტყვით, ქათინაური ქათინაურზე ვუთხარ. მოვალბე. შუბლი გაეხსნა ქალს, ისევ გამიღიმა. რომ უფრო გამემხიარულებინა ქალი. შევაქე მისი უნარი, მისი სარისტიანობა, გამჭრიახობა, ვკითხე, როგორ ინახამს ხილს თუ სხვა სანოვაგე—სანუკვარს. როცა ქალმა მიამბო, რომ ოჯახისათვის ვაშლს შემოდგომობითვე ყიდულობს, რადგან მაშინ იაფიც არის და ადვილი ასარჩევიც, შევეკითხე:

— როგორ ახერხებთ, ბატონო ჩემო, რომ ესე მშვენივრად ინახამთ ვაშლს? თითქო დღეს არისო მოწყვეტილი!

— ადვილი გახლავსთ, ბატონო, ოღონდ კი სარდაფი ჰქონდეს ბინას: ყუთები მაქვს მომზადებული; გადავარჩევ უხინჯოებს და ჩავალაგებ წყობისად; ერთი პირი მშრალი ნახერხი უნდა ჩაიყაროს, ერთი პირი ვაშლი ჩაიწყოს და ესე თავამდინ; მერმე მაგრა დაიხურება ყუთები და სარდაფში დაიდგმება, რომ სიგრილე და მცირე ნესტი არ აკლდეს; მხოლოდ ხანდისხან გაჰხსნით, ნახერს გაუმზევლებთ.

— ადვილი ყოფილა! სწორედ ვისარგებლებ თქვენის გამოცდილებით და მეც ეგრე შევინახამ ვაშლებს, მიუგე მე.

— არ გირჩევ, დათიკოჯან, სწორედ არ გირჩევ! ჩამოერია ლაპარაკში მასპინძელი.

დიასახლისს უცბად სახე მოეღუშა, შუბლი ჩიუნთოქდა, თვალებში სისასტიკემ გაუელვა.

— რატომ, კაცო?! გავიკვირვე მე.

— რატომ და იმიტომ, რომ ვაშლის კარგად შესანახად სრულებითაც არა კმარა მხოლოდ ის, რასაც ჩემი საბდო გეუბნება.

— მაშ, კიდევ რა არის საჭირო?

— კიდევ ის არის, ძმაო, საჭირო, რომ ვაშლის ყოველ გადარჩევაზე ჩამბალ-ჩაშავებული ცალები შენ უნდა ჩანთქა.

— კარგი, გეთაყვა, ეხლა შენებურ უთავ-ბოლო ხუმრობას ნუ მოჰყვები!—შეუხმამკვახა ცოლმა.

— როგორ თუ ჩამპალ-ჩაშავებული მე უნდა შევჭამო?!

— ისე, ძმობილო, რომ რაც ოჯახს მოვეკიდე, იშვიათად თუ შემხვედრია სალი ვაშლის გაფცქვნა. შემოდგომაზე რომ გოდრებით ვიყიდი ვაშლს, სულ ბოლომდის ნელ-ნელა უნდა გავასაღო დაშავებული: ყველა გადარჩევაზე დამპალს თუ დამბალს მე გადმომილაგებს ეგ ჩემი საყვარელი მეუღლე, ხოლო სალებს ისევ ჩააწყობს და მაგრა ჩაჰკეტავს!—სთქვა სანდრომ მწარის ღიმილით და ხმაზე ემჩნეოდა, რომ სწორედ თავის გულის-ტკივილს შემომჩიოდა.

— აბა თუ ეგრე არა, მაშ ვინ გაგაძლობს შენ, ყმაწვილო?!—შენიშნა ქალმა გესლიანად და აილეწა.

ეხლა კი მივხვდი, რომ უცაბედად წამოვკარ ფეხი იმ ჯავრის კოჰოს, რომელიც დუღდა მეგობრის ოჯახში; ვნახე, რომ აქ სახეირო აღარა იქნებოდა რა და წამოვდექ. მოწიწებით გამოვეთხოვე დიასახლისს, დაუკოცნე ბუნჩულა ხელი და წამოველ. სანდრო თან გამომყვა. ბევრი ვუშალე, ბევრი ვეხვეწე, საჭირო არ არის-მეთქი გაცილება, მაგრამ ვერ შევასმინე. ეჰ, ვიცოდი პატივსაცემად არ მომდევდა მეგობარი, შინაურ ჩხუბის ასაცილებლად გამოერიდა სახლს. მაგრამ სად წავიდოდა? შინ არ უნდა დაბრუნებულიყო?! დავემშვიდობე. გზა-გზა ისტორიული ფრაზა დამტრიალებდა თავს:

„სად ილტვის ალექსანდრე წინაშე უძლეველისა?!“

ვ. ხარნაული.

ეკურთხა ეპისკოპოსად სვეტი-ცხოვლის ეკკლესიაში მცხეთას. გიორგი მთაწმინდელი († 1065 წ.), ეკამათება ანტიოქიის პატრიარქს თეოდორე III-ს და, სხვათა შორის, მოახსენებს:

„უნდა გაუწყოთ, ჩვენო მეუფებავ,—იყო დრო, როცა მთელს საბერძნეთში (ბიზანტიაში) იმდენად შეირყა მართლ-მადიდებლობა, რომ ერთს სამწყსოს ვერ იპოვიდით, სადაც წმინდად ყოფილიყო დაცული მოციქულთა ნაანდერძევი სარწმუნოება; საქართველო კი მაშინაც და ახლაც მტკიცედ იცავდა და იცავს მოციქულთაგან გადმოცემულს საუნჯეს მართლ-მადიდებლობის აღსარებისასა. იმ შავ-უკუღმა დღეს თითქმის ერთი ეკკლესია არ იყო მთელს საბერძნეთში, სადაც შესაძლო ყოფილიყო ეპისკოპოსად კურთხევა გოთელ წმ. იოანესი. ამიტომ იოანე აკურთხეს ჩვენში, ჩვენს საპატრიარქო ტაძარში, მცხეთას, როგორც ამას მოწმობს ჩვენიცა და თქვენი დიდი სვინაქსარი“.

ამ ამბავს მოგვითხრობენ აგრეთვე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკკლესიის ისტორიკოსებიცა. მის სიმართლესვე ამტკიცებს შეურყეველი საბუთიცა. ძველ ეკკლესიას სთხრიდნენ ხერსონესში და ამ თხრის დროს იპოვეს ერთი ქვა შემდეგის შინაარსის ზედ წარწერით:

„მართლ-მადიდებელნი მცხოვრებნი გოთისა ირჩევენ მწყემსად ღირსსა მამას იოანეს 750 წელს და მგზავნიან ივერიაში იქაურ პატრიარქთან, სადაც იღებს ეპისკოპოზის ხარისხს და უვნებლად იცავს ეკკლესიის დოგმატებს—მართალს სარწმუნოებას“.

რა დიდად აფასებდნენ განათლებულნი შვილნი საქართველოს ეკკლესიისა, რომელნიც მოღვაწეობდნენ საქრისტიანო აღმოსავლეთის მონასტერში, თავიანთ დედა-ენას, ქართველობის მნიშვნელობას ქრისტეს ეკკლესიის საქმეში და რა უმაღლეს ცნობიერებამდე და თვით-შეგნებამდე იყვნენ იგინი ასულნი, საუკეთესოდ ამტკიცებს ამას საინტერესო ბოლო-სიტყვაობა სინას მთაზე აღმოჩენილის სახარებისა, რომელსაც აქვს 979 წლის თარიღი. კეთილ-მორწმუნე მწერალი ოთხთავისა იოანე, სინას მთაზე დაბინავებული სამოღვაწეოდ, ამ წიგნის ბოლოში სწერს ბოლო-სიტყვაობას, დიდის ქებით იხსენიებს ქართულს ენას და მის მნიშვნელობას ქრისტეს მიმდევართათვის.

„ქართული ენა,—ამბობს იგი,—დაცულია და უნდა არსებობდეს მეორედ მოსვლამდე, რათა ამ ენით იქმნას განკითხული ყოველი ცალკე ერი“. ბოლო-სიტყვაობის დასასრულ, მწერალი ამბობს:

„ეს ენა შემკული და ნაკურთხია თვით უფლისაგანაო“ *)

ამ გვარად, საქართველოს ეკკლესიას დამსახურებული სახელი ჰქონდა მოხვეჭილი მთელს საქრისტიანოში ჯერ ისევ დიდის ხნით ადრე, ვიდრე სლავიანთა ნათესავის ერნი ქრისტიანობის ზიარნი შეიქმნებოდნენ. ამიტომ ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ მრავალი სასიქადულო კაბადონი საქართველოს საეკკლესიო ისტორიისა ცნობილი იყო სლავიანთა შორისაც, მით უმეტეს, რომ საქართველოს ჰქონდა 60-მდე მონასტერი თავის სამეფოს გარეშე: მონასტერი წმ. ჯვარისა იერუსალიმს ახლოს (IV საუკ.), იორდანის ნაპირად (სოფ. აბუ-ალასი) ფარანის მონასტრის ახლოს (V საუკ.), იოანე ღვთის-მეტყველისა (5 საუკ.), მღვიმის საბას ლავრაში (5 საუკ.), ტავრიდის ნახევარ კუნძულზედ (6 საუკ.), ულუმბისა (6 საუკ.), აფოსი (მე-8 საუკ.), იოანე წინამორბედისა კონსტანტინოპოლში (8 საუკ.), ამ ქალაქისვე განაპირას (9 საუკ.), ათონისა (10 საუკ.), შავ-მთაზედ ანტიოქიის მახლობლად (10 საუკ.), სინას მთაზედ (11 საუკ.), სიონზედ წმ. იაკობისა (11 საუკ.), პეტრიწონელებისა ბოლგარიაში და ბევრგან სხვაგან. ყოველ ამ მონასტერში ავტონომიური გამგეობა იყო შემოღებული.

ქართველთა სასულიერო-სარწმუნოებრივი განათლება იკვლევდა გზას რუსეთისაკენ უფრო ორ შესანიშნავ მონასტრის წყალობით. ერთი იყო ათონის მონასტერი, ხოლო მეორე, პეტრიწონელებისა. ზემორე ხსენებულს ხერსონესის საყდრის ნანგრევები, როგორც ამბობს რუსთა მთავარ-ეპისკოპოსი ნიკოლოზ, უნდა იყოს ნანგრევი ქართველთა მონასტრისა. ეს მონასტერი დაუარსებიათ მე-6 საუკ. ქართველ მისსიონერებსა და უვრცელებიათ იქიდან თავგანწირულის მოღვაწეობით, ქრისტიანობა ტავრიდის ნადირ ხალხთა შორისაო. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ მონასტერს გავლენა ჰქონდა, სხვათა შორის, ესრედწოდებულ ტავრის რუსებზედ (Таврскіе Руссы).

ბერძნებს არ ეხერხებოდათ მისიონერობა აღმოსავლეთში. უმთავრესნი გამავრცელებელნი ქრისტიანობისა აღმოსავლეთად და საქართველოში ისტორიით კაბადოკიელნი იყვნენ, ჩამომავლობით ქართველთა მონათესავენი. ოსტ-გოტებში ქრისტიანობა გაავრცელეს კაბადოკიელმა ტყვეებმა; ვესტ-გოტებში—ეპისკოპოსმა ულფილამ, იმავე ტყვეთა შთამომავალმა; სუგდიელებში—მთავარ-ეპისკოპოსმა; სტეფანემ, აგრეთვე კაბადოკიელმა, წმ. ნინო კაბადოკიელი იყო, აგრეთვე წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, განმანათლებელი არაგვის ხეობისა.

მეტი მნიშვნელობა რუსეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად ჰქონდა, რასაკვირველია, უფრო ათონის ქართველთა მონასტერს, რომელიც დაარსდა მე 8 საუკუნის გასულს. ეს მონასტერი ბრწყინავდა უფრო მეათე საუკუნეში, როცა მოღვაწეობდა იქ წმ. იოანე ივერი, მისი შვილი ევთვიმი, სახელოვანი ნასარდლარი თორნიკე ერისთავი და სხვანი, ამ სახელგანთქმულ მონასტერში იკრიბებოდნენ, არა მარტო ქართველნი, არამედ ის უცხოელნიც, რომელნიც მოწყურებულნი იყვნენ სასულიერო განვითარებასა, გაწვრთნასა და ღვაწლ-მოსილობასა. კარი ამ მონასტრისა ღია იყო ყველა ამისთანა უცხოელთათვის, რადგან ასეთი იყო მისი წესდება (სტავროპიგიალური მონასტერი). კირიონის აზრით, ამ მონასტერში შეიმოსა ბერად შესანიშნავი მეუდაბნოე რუსეთისა ანტონ პეჩორელი (მღვიმელი); იქვე მოღვაწეობდნენ სხვა რუსნიც და ისე ითვისებდნენ ქართულს წესსა და მწიგნობრობასა, რომ სტოვებდნენ კიდეც თავიანთ გვაროვნობას. ათონის მონასტრის სინოდიკებსა და აღაპებში მოხსენებულნი არიან სხვა-და-სხვა შემწირველნი და მათ შორის ვინმე რუს-ყოფილი, იაკუთ-ყოფილი (бывшій якутъ), რომელსაც შეუწირავს მონასტრისთვის თვით მისის ხელითვე გადაწერილი სასულიერო შინაარსის წიგნები. რა გასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ თვით დამწერი რუსეთის მატიანესი, ავტორი ესრედ-წოდებულის повѣсти временныхъ лѣтъ იქ ყოფილიყო პირველად გაწვრთნილი და დახელოვნებული საღმრთოსა და საერთო სწავლაში, იქ ენახა „ქართლის ცხოვრება“ და მის მიბაძვით შეედგინა რუსეთის მატიანეცა, რასაც თავ-გამოდებით და, ჩვენის აზრით; საბუთიანად ამტკიცებს ეპისკოპოსი კირიონი. და, აი, ეს დამტკიცება არის უმთავრესი შინაარსი მისის ახალის საყურადღებო თხზულებისა.

რუსეთის საისტორიო მეცნიერებამ ჯერაც არ იცის, ვინ იყო სახელდობრ დამწერი ამ მატიანისა. მიაწერეს მისი დაწერა ნესტორს, მაგრამ ამის დამტკიცებისათვის საბუთები ძალიან მცირეა. ცხადია, ავტორმა დამალა ის პირველ—წყარო, რომელსაც ჰბაძავდა. ამიტომ დამალა თავისი ვინაობაცა. და, აი, ორასი წელიწადია, თავს იმტვრევენ რუსეთში გამოჩენილი აკადემიკოსები-ნემეცები და რუსები,—ისტორიკოს-არქეოლოგები და ვერ იქმნა, ვერ გაიკვლიეს ვერც რუსეთის მატიანეს დამწერის ვინაობა, ვერც ის წყარო, რომელიც სახელმძღვანელოდ ჰქონდა თვალ-წინ რუსეთის მემატიანეს თავის მატიანის წერის დროსა. საინტერესოა, როგორ მოსვლია პირველად ეპ. კირიონს ფიქრი, ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხომ არ იყო ასეთ პირველ წყაროდ და წასაბაძ ნიმუშად რუსეთის ნესტორისათვისაო. როცა დაუწყვია კითხვა რუსთა მატიანის სხვა-და-სხვა ვარიანტებისა, ეს აზრი უფრო ღრმად ჩანერგვია გულში. თითონვე გვიამბობს, იქვე პირველშივე სასიამოვნო აზრმა გამიელვა, აზრმა ახალმა, ახალის ჭეშმარიტების აღმოჩენისამაო. რაც უფრო მეტად ჩაუფიქრდი, მეტად დაუკვირდი რუსთა მატიანეს, მით უფრო ღრმად ვრწმუნდებოდი, რომ повѣсть временныхъ лѣтъ, როგორც უწოდებენ რუსეთის უძველეს მატიანეს, უხეირო მიბაძვაა დიდის ქართველთა მატიანესი ჩვენის „ქართლის ცხოვრებისაო“. განვაგრძე შედარება ქართულისა და რუსულის მატიანესი და აღნიშვნა მიმსგავსებულის ადგილებისაო. მერე და მერე ისე გამიტაცა ამ საქმემ, რომ საჭირო შეიქმნა გადაკითხვა მთელის ლიტერატურისა, რაც კი დაწერილი იყო რუსთა მატიანის კვლევის შესახებ. დავიწყე შესანიშნავ აკადემიკოსის ზიგფრიდ ბაიერიდან (1694—1738) და გავათავე დღევანდელ ღრმა მკვლევარით აკადემიკოსის ა. შახმატოვით, რომელმაც შარშან დაბეჭდა თავისი საფუძვლიანი თხზულება ამ სათაურით: „Разысканія о древнѣйшихъ русскихъ лѣтописныхъ сводахъ“.

ჩვენ არც დრო გვაქვს და არც იმდენი ადგილი, რომ დაწვრილებით ავუსხნათ ყველა ის ადგილები, რომელიც გასაოცარის მსგავსებით არის სავსე რუსულსა და ქართულს მატიანეში. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენსამე მაგალითს. მაგრამ ვიდრე ამას შეუდგებით, ვერ მოგვითმენია, რომ ერთს გარემოებასაც არ მივაქციოთ ყურადღება. ეს ის გარემოებაა, რომ ვითომ რუსეთი იყო მე-15 საუკუნიდან მფარველი და დამცველი ქრისტიანობისა აღმოსავლეთად. კირიონის ფიქრით, ეს მართალი არ არის და არც ისტორიული საბუთები ამტკიცებს ამასა. ბიზანტია—ეს დიდებული საქრისტიანო სახელმწიფო დაეცა 1453 წელს. ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინეპოლი, სლავიანთა ერნი დასავლეთად; დაეცა ტრაპიზონის იმპერია, დაარსებული დიდის თამარის მიერ; საქართველო, ჯერ ისევ მონღოლებმა შეასუსტეს და ივარ-ჰყვეს. მეთხუთმეტე საუკუნეში სულ დანაწილდა და პოლიტიკურის ერთიანობით აღარ იყო შეკავშირებული, მაგრამ მაინც ამ პატარა ქვეყანაში ძლიერი იყო სული ქრისტიანობისა და ეს ძლიერება ინერციით კიდევ დიდხანს სწარმოებდა და ჰფენდა საქრისტიანოს სინათლეს ახლო-მახლო ქვეყნებს, მთაში, ბარად და ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა; იარაღით ხელში, თავით-ფეხამდე შეჭურვილი, ეს პატარა ჯვაროსანი ერი გააფთრებით ებრძოდა ორ-სამ ფრონტზედ საშინელ და ძლიერ მტრებს ჯვრისას: სპარსეთს, ოსმალეთს, ლეკეთს. თვით ეს ბრძოლა, ეს დაცვა თავის თავისა და თავის სარწმუნოებისა მრავალ-მნიშვნელოვანი გარემოებაა და ჰმოწმობს თავ-გამოდებას, დიდს თავ-განწირვას ქრისტიანობისათვის. ეს ბრძოლა წინადაც იყო და არც მეთხუთმეტე საუკუნიდან შეჩერებულა; არ შეჩერებულა იმ დრომდე, ვიდრე პირში სული ედგა ჩვენს ქვეყანას; პირიქით, ჩვენი ქრისტიანობა შეიქმნა ჩვენის პოლიტიკურის დაღუპვის მიზეზიც. მივეტანებოდით რუსეთს, გვწყუროდა მასთან დაახლოვება და დამეგობრება და ეს გარემოება იწვევდა საშინელს მძულვარებას ჩვენის მტრებისას. შაჰ აბაზი უფრო ამისთვის ემტერებოდა საქართველოს და ამისათვის აოხრებდა; აღა-მაჰმად-ხანმა სულ ცეცხლზე წყალი დაუვისხა და მოაოხრა ტფილისი 1795 წელს სწორედ იმიტომ, რომ ხელ-შეკრულობა დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს გიორგიევსკში.

რას შვრებოდა ამ დროს რუსეთი, ახალი საქრისტიანო ქვეყანა, დიდი, ვრცელი სახელმწიფო? ის ამ დროს მონგოლის ბატონობიდან თავ-დაღწეული იყო, მაგრამ სხვა ქრისტიანე ქვეყნებისათვის ვერავითარ მფარველობას ვერ ახერხებდა. კლიუჩევსკი ამბობს:

„ყირიმმა საბოლოოდ გაანთავისუფლა მოსკოვი ბათუს შთამომავალთა მონობისაგან და უბრძოლველად, თათართავე შემწეობით, მოიშორა ქედიდან მონგოლთა უღელი, რომელიც ედგა ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსეთს 2½ საუკუნეს (1238—1480), მაგრამ ამის გამოვე „რუსი“ თითქო ყირიმის მოხარკედ გარდაიქცა. კონსტანტინეპოლის დაცემის ხანაში ცხადი პოლიტიკური შეგნება რუსეთში ჯერ კიდევ არ არსებობდა. არც მოსკოვის ხელმწიფე იყო ჯერ მაშინ ძლიერი ამ სიტყვის პოლიტიკურის მნიშვნელობით, არც დიდ რუსეთის სახელმწიფო არსებობდა, ეტნოგრაფიულის აზრით რომ ავიღოთ ეს სიტყვა. იოანე III დროს დიდი ნაწილი ჩრდილო-რუსეთისა ჯერ არ იყო მოქცეული მოსკოვის სამთავროს საზღვართა შორის. რუსეთი მაშინ განყოფილი იყო რამდენსამე დიდ სამთავროდ და თითოეული ამათგანი კიდევ განიყოფებოდა რამდენსამე უდელად. ამიტომ არ შეეძლო დიდ მთავარს იოანეს III-ეს (1462—1505) ეფიქრა, რომ ვითომ დამცველია აღმოსავლეთისა. იმდენად სუსტი იყო, რომ ქედს უხრიდა მენგლი-გირეის (1474 წ.) და ხან-ახმატსა (1480 წ.) შებრძოლების მაგიერ ელჩებს უგზავნიდა ამათ, თავს უკრავდა, მოიკითხავდა მოსაკითხითა და საჩუქრებითა და ჯამაგირის დანიშვნას ევედრებოდა. ევროპის ქრისტიანე მეფენი ეომებოდნენ ქრისტიანობის მტრებს—ოსმანებს და ეს დიდი მთავარი კი თავის სიძეს ალექსანდ. ლიტოველს კერძო ანგარიშებს უსწორებდა. მეფე ვლადისლავი უნგრეთისა და პოლონეთისა ალბრეხტი უთვლიდნენ, შეურიგდი შენს სიძეს, ვინაიდგან ასე სწერდნენ ისინი: „ეგ ომი დიდს ზიანს“ აყენებს მთელს საქრისტიანოსაო. ყველანი უნდა შევერთდეთ ოსმალოების წინააღმდეგ და შენ კი ძალას ართმევ საქრისტიანო სამთავროს ბატონს შენთან ომითაო. იოანე მრისხანე ხომ სულ ვერ იფიქრებდა, ქრისტიანობის მფარველად და დამცველად გამოსულიყო. მან დაჰკარგა ბალტიის ნაპირის მხარენი; იძულებული იყო შეეკრა რუსეთისათვის დამამცირებელი ზავი ლიტვასთან; ხონთქრის მოთხოვნით დააქცია თერგზე რუსეთის ციხე, მთელი თავისი დღენი შიშში იყო, ტახტი არ წამართვანო, იძულებული შეიქმნა დაჰმორჩილებოდა საიფ გირეის, ისლამ-გირეის და ძღვენი ძღვენზედ ეგზავნა მათთვის. და, აბა, ამ დროს სადღა სცხელოდა იმ ქრისტიანეთა დაცვისათვის, რომელნიც ჰკვნესოდნენ მუსულმანთა უღელ ქვეშ. იოანე მრისხანე ითმენდა საიფ-გირეისაგან დამცირებასა და შეურაცყოფასა—იოანე ჭკუა-შერყეული კაციაო (въ не совершенномъ разумѣ), ითმენდა დამცირებას ბატორისაგან, რომელიც სიგელებში ასე იხსენიებდა: „ფარაო მოსკოვისა, მგელი ცხვართა შორის შეჭრილი, კაცი სავსე საწამლავითა, არარა უხმსი, ничтожный грубый). რატომ არ მოხვედი შენის ჯარით ჩვენთან,—სწერდა ბატორი იოანეს,—რატომ არ დაიფარე შენი ქვეშევრდომნი! საცოდავი კრუხი ქორისაგან და არწივისაგან თავის წიწილებს ფრთეების გადაფარებით იცავს და იფარავს და შენ კი, ორ-თავა არწივი (ასეთია შენი ბეჭედი) იმალებიო“.

გრ. ყიფშიძე.

(დასასრული იქნება).

# უცხოეთი

**იაპონიაში.**

ბევრს შეიძლება ჰგონია, იაპონიას სძინავს და რუსეთთან ბრძოლაში მოგებული მხოლოდ და დასვენებას მისცემია. ნამდვილად საქმე ასე როდი არის, რადგან უკანასკნელ ხანს იაპონიიდან მოსულმა ამბებმა სრულიად გააქარწყლეს ასეთი შეხედულება მუდამ მოძრავ და მშრომელ იაპონელებზე. იაპონიამ კარგა ხანია შეითვისა ვილჰელმის პოლიტიკა და მხნე მზადებაშია.

როგორც ვიცით, იაპონიის სამხედრო და საზღვაო სამინისტროების ბიუჯეტი მომავლისთვის შესამჩნევად გადიდებულია. ამას გარდა გადაწყვეტილია, გადიდებულ იქმნას სარკინისგზო ბიუჯეტი. პრემიერ-მინისტრის კატცურას სიტყვა, რომელიც წარმოითქვა „ეკონომიურ საზოგადოება“-ში, კარგად გვაგებინებს, თუ რად მიაქცია იაპონიამ დიდი ყურადღება რკინის გზების გაყვანისა და არსებულ გზების გადაკეთების საქმეს. პრემიერი სტრატეგიულის მოსაზრებით პირველად საჭიროდ სცნობს ტოკიო სიმონოსეკის რკინის გზისა და შემდეგ ყველა იმ გზების გადაკეთებას, რომელნიც კორეის სამხრეთ ნაწილს რუსეთის საზღვართან (სეულ-იჩჟუ-ხუნხუზ) აერთებენ. პრემიერი დაწვრილებით აღწერს ამ გადაკეთებისაგან მოსალოდნელ სარგებლობას და შემდეგ მომავალ გზას აშკარად უწოდებს „იმ სტრატეგიულ გზას, რომელმაც იაპონია ციმბირში უნდა შეიყვანოს, მათთვის ამ აღთქმულ ქვეყანაში“. ამ სტრატეგიულ გზის გასაყვანად, ცნობილი იაპონელი მოღვაწის გრაფ ოკუმას გამოანგარიშებით, საჭიროა ერთ მილიონ მანეთამდე, მაგრამ—დასძენს ოკუმა—ამის შემდეგ ციმბირის ბედი იაპონიის ხელში იქმნება.

იაპონიას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე ჯარის გაწვრთნაზე. უკანასკნელმა სამხედრო ადლუმებმა ყველას დაანახვა, რომ რუსეთთან ომის შემდეგ იაპონიას კიდევ ბევრი უმუშავნია ჯარის რეორგანიზაციაზე და ბევრი თვალსაჩინო და საჭირო რეფორმები მოუხდენია. ამ დიდმა ადლუმებმა ძალიან გააკვირვა ევროპიელი სპეციალისტები, მაგრამ ეს არც ისე გასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იაპონიაში ერის კაცნი და სამხედრო პირნი ორი მოსისხლე მტერნი კი არ არიან, არამედ ერთი მთლიანი ერთეულია, გამსჭვალული ერთის აზრითა და მისწრაფებით.

ამ ჟამად იაპონიაში, მარტო სამხედრო პირნი კი არა, ყველა მცხოვრები, ასე ვსთქვათ, სამხედრო გუნებაზეა.

ამას წინად პრინც ფუსიმის მფარველობით და „კორეის შემაერთებელ“ ტერაუჩის თავმჯდომარეობით ტოკიოში დაარსდა ახალი საზოგადოება „პროვინციალური სამხედრო საზოგადოება“ რომლის მიზანია—გაერთიანოს პროვინციის ყველა ამგვარი საზოგადოებანი და გააღვიძოს ხალხში სული გაქაცობისა და გმირულ თავგანწირულებისა, რაიც ერთს დიდს ღირსებას შეადგენს იაპონიის ერისას“. დღემდე ყველა ასეთი საზოგადოებანი ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, რაიც მუშაობის ნაყოფიერებას აუცილებლად დიდად ასუსტებდა. ახლა ამ საზოგადოებათ სათავეში დაუდგება ერთი მთავარი საზოგადოება, რომლის წევრებადაც დღეს იაპონიის ყველა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე არის.

ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში აგვირგვინებდნენ ბერები თავის გარყვნილებით წრეს-გადასულ და გარყვნილ რომს. წმინდა საკურთხეველი უღვთოთვის იყო ბუდე გარყვნილებისა და სისაძაგლისა, მაგრამ დღეს, როდესაც ვატიკანი თავის ნებით განსდგა ამ ქვეყნიურ ცხოვრებიდან, უფრო საშინლად მოქმედებს მისი სხეული გარყვნილებით.

მადლისა და ძვირფას კედლებით არის დაშორებული ვატიკანი ამ სოფლისგან და მის ბჭეებს ქვეყნიურ ცოდვათან მტკიცედ იცავენ მისის უწმინდესობის გვარდიელები. იქ მიმდინარეობს სულ სხვა ცხოვრება, რომლის შესახებ ქვეყნიერება მხოლოდ შემთხვევით იგებს, კაცს ჰგონია, რომ ეს ცხოვრება არის მშვიდი წმინდა და მთლად მიმართული ღვთის სადიდებლად, მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. ამ გარეგნულად მშვიდს და წმინდას ცხოვრების ბატონად არიან მომაკვდავნი, რომელნიც დღეს და ღამით ებრძვიან ერთმანეთს სახელ დიდებისათვის. იქ გამეფებულია მარტოოდენ სიცრუე, გამცემლობა და ჩუმი გარყვნილება.

და აი, დღეს აიხადა საიდუმლო ფარდა და ვატიკანი სცხვნს მთელის თავის ავლა-დიდებითა. კლერიკალები შეშფოთდნენ, წმ. მამა მძიმე ავად გახდა. საქმე მეტად რთულია. შიგ ურევიან: კარდინალი მერრი-დელ-ვალი, სასულიერო საქმეთა მდივანი მონსენიორ კანალი, მონსენიორ ბისლეტი, ბარონ შეპბერგი, მარკიზ დელ-ფიერო და მარკიზ მაკ-სვენი დე-მასტრაკასსი, და პაპის სასახლის კამერგერები.

ყველა ეს პირნი, რომელნიც სული და გული არიან ვატიკანისა, 6 თებერვალს უნდა წარსდგნენ ტრიბუნალის დარბაზში, სადაც, შეიძლება, ბევრი გასაოცარი და დღემდე დაფარული რამ სისაძაგლე გამოირკვეს.

ახალგაზრდა და პრწყინვალე მარკიზი მაკ-სვენი,—წარმომავლობით ირლანდიელია და მართლმორწმუნე კათოლიკე... ერთგვარ ხელობით—გაჩნდა ვატიკანში, უცებ დაიმსახურა პაპის ლევ-13-ის სიმპატია და „საიდუმლო კამერგერის“ ხარისხი მიიღო. მარკიზმა კავშირი დაიჭირა პატრიცებთან და ამის შემწეობით ერთს მდიდარ ქალზე ჯვარი დაიწერა. ამას არ დაკმაყოფილდა და განაგრძობდა გარყვნილ ცხოვრებას. მეუღლეს თავი მიანება, ვიდრე ქალის გამო დუელიც მოუხდა, შემდეგ გაუპატიურა მოსამსახურე გოგოები, კამერგერის ხარისხზე უარი სთქვა... მაინც დარჩა პაპის სასახლეში, როგორც ნდობით აღჭურვილი კაცი და ახლო მეგობარი მერრი-დელ ვალისა.

მოხერხებულ მარკიზს ბევრი რამ უნახავს თავის ცხოვრებაში: ჯერ კიდევ 1885 წელს სენის ტრიბუნალმა გასჭირა ისეთ საქციელისთვის, რომელიც „წმინდა ზნე-ჩვეულებას“ ეწინააღმდეგება. ვიდრემ ეს ამბავი გაიგო და მარკიზმა და მერრი-დელვალიმ აუარებელი უსახელო წერილი მიიღეს, რომელშიაც წინადადებას აძლევდნენ: მაკ-სვენის ვატიკანიდან წასვლას, ხოლო კარდინალ სტატს სეკრეტარს—მარკიზთან „კავშირის“ შეწყვეტას. წინააღმდეგ შემთხვევაში—ემუქრებოდა უსახელო ავტორი—გამოვამჟღავნებ თქვენის მეგობრობის საიდუმლოებასაო.

ეტყობოდა, წერილის ავტორი კარგად იცნობდა ვატიკანის შინაურ ცხოვრებას, რადგან მოხსენებული ჰქონდა „უოფუ-ქლება“ პაპის დაახლოვებულ პირის მონსენიორ დ'ორელდისა და გრაფის კოლონნისა, რომელიც აგრეთვე ცნობილი იყო თავის „კეთილ-მოქმედებით“.

ვინ იყო უსახელო წერილების ავტორი? შეადარეს ხელი და აღმოჩნდა, რომ მისი ავტორი იყო გრაფი დელ-ფიერო,—„საიდუმლო კამერგერი“ პაპისა. ეს მექსიკელი—ლამაზი და მდიდარი უმაწვილი—რომში გაჩნდა და ჩქარა ვატიკანში შინაურ კაცად გაიხადა. მექსიკელ გრაფს პოლიცია იცნობს, როგორც გარყვნილს, მოთამაშეს და ერთის სქესის მოყვარულ კაცად.

ვატიკანის კაცებთან ის მშვიდობიანად სცხოვრობდა, ვიდრე ერთს დღეს მისს „მეგობარს“ თითქმის ქურდობაში არ დაიჭერდნენ და ვატიკანიდან არ გააძევებდნენ. აქ იგინა თავი შურის ძიებამ, დელ-ფიერომ გადასწყვიტა, შური ეძია მერრი დელ ვალისათვის. კავშირი შეჰკრა ვატიკანის საიდუმლო არქივის მოსამსახურესთან, ამოიწერა ბევრი საინტერესო ცნობები და უსახელო წერილების წერა დაიწყო.

*) Пр. Ал. Цагарели—Свѣд. о пам. гр. письм. в. II. стр. 61.

ტიკანი შეშფოთდა. შეწუხდა მა მეც. განუმება შეუძლებელი-და იყო და აი მაკ-სვენიამაც ძალაუნებურად ტრიბუნალი სამართალში მისცა დელ-ფიერო და კანცელარიის მოხელე.

ასეთია ფაქტიური მხარე, მაგრამ, შეშველის, სასამართლოში ბევრი რამ გამოირკვევა. შესაძლებელია, უსახელო წერილებს დელ-ფიერო კი არა, ვატიკანიდან დათხოვნილი რომელიმე ლაქია ადგენდა, მაგრამ საინტერესო ის არის, როგორ მოხვდა, რომ დელ-ფიეროსა და მაკ-სვენიეს, რომელთაც პოლიცია იცნობს როგორც „მამაკაცთა სახლების" ხშირ სტუმრებს, ოცის წლის განმავლობაში დიდი ადგილი ეჭირათ ვატიკანში.

დასასრულ, რა მიზეზია, რომ ვატიკანის სასახლეში ლამაზს უმაწვილებს უფველთვის აწინაურებენ?

ასეთი კითხვები კიდევ შეიძლებოდა დაგვესვა, მაგრამ ესეც კმარა.

## ბ-ნ ფანცხავას.

ბატონო, როგორც 1910 წელს დროებაში გამოვთქვი (№ 5, 8, I ფაუსტი ვთარგმნე წყობილ სიტყვად იმ გალექსული ტექსტისაგან, რომელიც ეკუთვნის ნ. ხოლოდკოვსკის და მოქცეულია გეოტეს სრული თხუზულების მეშვიდე ტომში (Н. В. Гербель. Собраніе сочиненій Гете въ переводѣ русскихъ писателей, второе изданіе подъ редакціей Петра Всейнберга, томъ седьмой С.-Петербургъ 1893 г.)

თქვენ კი, დალოცვილო, აგილიათ ზროზად ნათარგმნი ტექსტები პ. ვეინბერგის და ხოლოდკოვსკისა და იმათთვის შეგიდარებიათ. სიმართლე მოითხოვდა, ჩემი თარგმანის სიკეთე, თუ სიავე დაგედასტურებინათ თანახმად იმ ტექსტისა რომლითაც მე ვიხელმძღვანელე.

დიდი სურვილი გეტყობათ, ჩემი თარგმანი გააფასოთ, მაგრამ ნაადრევია. ას ათი წელიწადი გაუძლია უფაუსტოდ თქვენს მამაპაპას, თქვენც ცოტა კიდევ მოითმინეთ, უმჯობესი და, როგორც ბრძანებთ, შესაფერი თარგმანი მოგვერთოთ და მაშინ მოსდექით ჩემი თარგმანის გაფასებასა.

გმადლობთ თქმისათვის, ბ. მორიანაშვილის თარგმანი ახალ მთარგმნელს გვარიან მასალად გამოადგებაო. მასალად კი არა, სამსალად გამოადგეს, ისეთი დღე დავაყენო, თუ გამშედა ჩემი ტექსტის გამოყენება.

ცილისწამება გახლავთ, როცა ამბობთ, ჩვენ იმდენად ვერ განვითარებულვართ, რომ ეს დიდებული თხზულება პირ და პირ გერმანულიდან ქართულად გადმოგვეთარგმნაო. გერმანული ენის უცოდინარობა განუვითარებლობას არ მოასწავებს ისევე, როგორც მისი ცოდნა—განვითარებასა. მაგრამ უცხო ენების ცოდნითაც ჩვენი ნასწავლი კაცობა, არც ისე უკან სდგას, როგორც გგონიათ. გერმანია და საფრანგეთი რომ აღარ იკმარეს, ეხლა ინგლისსაც ეტანებიან ჩვენი ყმაწვილ-კაცები მაღალი სწავლის მისაღებად. პირიქით, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ქართველი ინტელიგენტი შეცხოვის ცოდნაში უფრო მარჯვეა. თქვენ კი უგულებელს ჰყოფთ. ფაუსტის ქართული თარგმანის უქონლობის მიზეზი გერმანული ენის უცოდინარობა არ გახლდათ, არც გახლავსთ. მიზეზი სულ სხვა არის. ფაუსტის ქართულად მთარგმნელმა ყოვლის უწინარეს უნდა იცოდეს ქართული ენა.

ვინ მოგახსენათ, ჩემო უწყალო გამფასებელო, შაგეთი ნეოლოგიზმი იყვეს. ეჰვი დამიბადეთ, ვაი თუ არ იცოდეთ, რას ჰქვია ნეოლოგიზმი. კიდევ კარგია, იმდენად თავმდაბალი ბრძანდებით, რომ არ მიკითხავთ ქართული გრამატიკის ლექციას.

პეტრე მირიანაშვილი.

## წვრილი ამბები

**50 ბავშვის დედა.**

ტრანსვაალში სცხოვრობს ქვრივი დედაკაცი ფონ-ვიკი, რომელიც ყურადღების ღირსია, თავისის ნაყოფიერებით. 18 წლისა ის გაჰყოლია პირველ ქმარს პეტრე ლუბბეს. ორი წლის შემდეგ ქმარი მოჰკვდომია, რომლიდანაც ერთი ბავშვი დარჩენია. ათი თვის შემდეგ მეორე ქმარს გაჰყოლია, ნაქვრივალს, რომელსაც 4 ბავშვი ჰყოლია. 17 წლის შემდეგ, მეორე ქმარიც მოჰკვდომია. 5 თვის შემდეგ ქალი, ბავშვის დედა—მესამე ქმარს გაჰყოლია, ქვრივს, რომელსაც თავისი ჰყოლია კიდევ 7 შვილი. 11 წელი უცხოვრია მესამე ქმართან და მის ხელში 7 შვილი შესძენია. შემდეგ მესამე ქმარიც გადაცვლილა და 5 წლის შემდეგ ქალი მეოთხე ქმარს, ნაქვრივალს, გაჰყოლია, რომელსაც 8 შვილი მოუყვანია, ქალს იმასთან 11 წლის განმავლობაში 4 ბავშვი შესძენია. მეოთხე ქმარიც გარდაცვლილა და, ხუთი წლის ქვრივობის შემდევ, ქ-ნი ფონ ვიკი მეხუთეჯერ გათხოვილა და კიდევ მის ხელში 10 ბავშვი შეუძენია. მეხუთე ქმარის სიკვდილის შემდეგ მეექვსეჯერ გათხოვილა ქვრივ კაცს, რომელსაც თავისი მოუყვანია 4 ბავშვი და მეექვსეჯერ დაქვრივებულა. ამ გვარად, ეს ქვრივი დღეს ყოფილა 50 ბავშვის დედა, ჰყოლია 276 შვილისშვილი, თვითონ ეხლა 78 წლისაა, ჯანმრთელად და მხნედ.

## მუშათა ცხოვრებიდან

თერძებში წესად იყო შემოღებული და ახლაც არის უმუშევრობის დროს, ადა სახარჯოს აძლევდეს ხოლმე ქარგლებს ვალად (ავანსად) და მესამედი საქმის-დრო'ს გამოუქვითოს ცოტ ცოტაობით. მოძრაობის შემდეგ, ზოგი ერთმა ადამ ეს წესი შესცვალა და ახალი, მისთვის ხელსაყრელი წესი შემოიღო: სანამ საქმე აქვს ამუშავებს ქარგალს, გათავდება სეზონი—დაითხოვს, როცა საქმე მექნება მაშინ მოდით და სახარჯოსაც მოქცემთო. თუ ქარგალი შეეჯახა, საქმის დროს გინდოდი და ახლა მშიერს ქუჩაში მაგდებო, პოლიციასაც კი იშველიებენ და ქუჩაში ისტუმრებენ. ამისი მაგალითები სხვაც იქნება, მაგრამ—ჯერ ერთიც კმარა. კირონჩი ქუჩაზე მამა-შვილს გვარად ცმი აქვთ სათერძო 6—8 კაცი უოვედ თვის მუშაობს. ამ წუადკურთხევის წინა დღეს ერთი მათგანი შესულა და ჩვეულებისამებრ ავანსად უთხოვნია რამდენიმე მანეთი. ადას პოლიციელისათვის დაუძახნია და პოლიციაში გაუსტუმრებია.

სწორედ ამაზედაა ნათქვამი „არას მომცემ, უბასაც მომტეხო"..

დიმიტრი თაგიშვილი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით პასუხი გავცე ჩემს მოწინააღმდეგე დ. თავართქილაძეს, რომელიც მე სამედიატორო სამართალში მიწვევს №—183 „სახალხო გაზეთის".

მისი საქციელი საკვირველად მიმაჩნია, რადგან იგი უკვე მეორედ მიწვევს. პირველ გამოწვევის დროს მე სრული თანხმობა შევუთვალე მისივე გამოგზავნილი კაცების პირით. იმ დროს იმ ადგილიდან სადღაც განჰქრა მიუხედავათ იმისა, რომ იმავე პირებმა მეორედაც გაუმეორეს, რომ არსად წასულიყო.

დღეს სრულებით ზედმეტად მიმაჩნია მაგაზე კამათი გავმართო, რადგან დღევანდელი ადგილობრივი ჩვენი პირობები პირადი საქმეებიც შეძლებას არ მაძლევს, რომ მუდმივ ერთს საქმეს ვზდიო, რომელიც ისედაც ერთი წელიწადია გრძელდება.

ამიტომ მე წინადადებას ვაძლევ ჩემს მოწინააღმდეგე ტ. თავართქილაძეს, რომ თავს ნულარ შეიწუხებს, რადგან ყოველი მისი ცდა ჩემს მიერ უყურადღებოდ იქნება დატოვებული. ალ. ნ. ქადიეშვილი.

—

მ. ხl ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო საერთოდ ყველას ვინც ჩემს მდგომარეობას, სიტყვით თუ საქმით დახმარება გაუწია და შეღავათი აღმომიჩინა.

ნიკო ჯაფარიძე.

—

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ხარკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სახელით ბატონ იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც შემოსწირა ჩვენს წიგნთ-საცავს რამოდენიმე ცალი წიგნი.

წიგნთ-საცავის გამგე

ალ. კან—კი.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, ჩემი ულრმესი მადლობა ივანე ნიკოლოზის ძე აბაშიძის ქვრივს პელაგია ნიკოლოზ წერეთლის ასულს, რომელმაც შემოსწირა ქალის წმინდა გიორგის ეკლესიას სხვა და სხვა საჭიროებისათვის ას ოცდა ათი მანეთი (130 მ.)

მღვდელი ალექსი კურცხალია.


## განცხადებანი

## 2 კოსტიუმი 4 მ.

ახე იაფად, 2 მან. ღირს მთელი ხაკასტიუმე ნაჭერი 4½ არშ., შემოდგ. და ზამთრის მამაკაც. მატერია „რეკორდი", უადრესად გამძლე, მოხდენილი, შავი, მუქ-შავი, ზოლებიანი თუ ხადა. ახეთ 2 ნაჭერს ვგზავნი მხოლოდ 4 მ. გასაგზავნი 70 კ. ციმბირში—1 მ. 35 კ., უკეთეს ხარისხისას—2 მ. 85 კ. და 3 მ. 25 კ. ვგზავნი აგრედ. მამაკაცთათვის შეკერილ შემოდგომისა და ზამთრის შარვალებს, გამძლე მატერიისას—„ტრიკო კამარად"—1 მ. 80 კ. უკეთესის მატერ.—2 მ. 25 კ. გასაგზავნი 35 კ. გვაცნობეთ მთელი სიგრძე, ნაბიჯის სიგრძე და ხარტყლის ზომა. თუ 3 ან მეტს გამოიწერთ, გასაგზავნს მე ვკისრულობ. დაწუნებულის ფასს უკან ვაბრუნებ.

ადრესი. Кимвану, Лодзь № 18.

Мецль. 2589. (10—43—1)

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

## ჭრა-კერვის

● წიგნი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—336—6)

◀ მშობიარეთათვის ▶

## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბებიო ინხტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—46)

სპეციალური

## სამკურნალო

კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.

გოლოვინის ქ. N 9, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედევანი და ი. მ. ზაბლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეზვება, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

შესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—9)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

გაიხსნა

მუხრანსკის ახალი კერძო

## სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—9)

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი; 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. გ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარცინევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალოში

მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. იქვე იღებენ ყოველგვარ საკერავს „გლადით" და „მეტკებს" ძალიან იაფად. ვერის კონკები ხადაც ხდება, გაბაანთ ქუჩა N 3. (10—29—4)

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა.

სახელმძ. „ვაჭრობ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორი, რომელიც მოწონებულია ფინან. სამინისტრ. სამეურნ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

◀ ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ ▶

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხის თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.

კურსების მასწავლებლებად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.

სწავლა დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნახადილებს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამასგარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად, კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან ფასდადებით გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—10)



ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოების უმთავრესს წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## ვაჟა-ფშაველას

დასურათებული

## ბახტრიონი.

წიგნის ფასი 20 კ.

ვინც 20 ცალს იყიდის, 20 პროცენტი დაეთმობა.

ადრესი ტელეგრამისათვის:

Тифлисъ Грамотность.

(5—უ.—3)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მაღაზიას ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

## ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. შირ.

აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—79)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა




მოითხოვეთ

## სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ს ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ზმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

| | |
|---|---|
| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოხჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—23)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## კომერციულ ცოდნათა კურსები

## ტ. მ. ფილოიანისა.

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 977).

სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.

კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგერის მუსტერ-ლომტორიში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ.: 1. ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3 პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5 კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3. დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად. კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 იანვარს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

(2—42—2) კურსების დირექტორი ტ. ფილოიანი.

## სინჯეთ და დარწმუნდით!

ინგლისის ქარხნის საპნით ნარეცხი თეთრეული,

ჰსინჯეთ და პირადად დარწმუნდებით, რომ ინგლისური ქარხანა კლინალ ლიმიტედის ● ვაშენეს ● საპნით გარეცხილ თეთრეულს 1½—2 წლის მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.

იგი სრულიად უვნებელია და უმანქანოდ, ხელების გაუფუჭებლად 15 წუთში გარეცხავთ თეთრეულს.

სიყალბის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მთავრობის მიერ დასტამბულ მარკას № 10499—12752.

მთავარი წარმომადგენელი ვიქტორ ზატკალიკი,

შიდა-კავკასიის წარმომადგენელი ზ. ნ. ხუხრიანცი და ტ. ზ. ბახშინოვი.

С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.

(15—322—10) Тифлисъ, Елизаветинская, № 192.


მადათოვის კუნძული სტამბა „სორაპანი" ტფილ., № 539.

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.